გაზეთი ზეგის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№78 (1104) 13 - 14 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„უსუპოვი და ქვანია ბინაში შიშვლები იყვნენ... მაპატიოს ზურას სულმა!"

რაცომ გადაწყვიტეს დაცვის ყოფილმა წევრებმა ქვანიას პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროება — ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური სასამართლოს უცნობი დეტალები

გვ. 8

მამა პეტრე: „გიჟი ვარ!"

„არ ვმალავ: ეკლესიაში ძალიან დიდი შური არსებობს!"

გვ. 4–5

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ვინ ესვრის ქვებს ყველაზე არაორდინალურ ქართველ მოძღვარს

„ხიდაშელი თავისი „სარდლობის" დიდ ნაწილს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უთმობს!"

ლევან მამალაძემ საავაშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში 386-გვერდიანი სარჩელი შეიტანა!

გვ. 3

საბერძნეთის კრიზისი ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას ხელს შეუშლის?!

თემურ ბასილიას ამერიკული შეფასებები

გვ. 6

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებს უფასო ტრენინგებს უტარებენ

ქართულ ციხეებში ვაჰაბიზმი ჰყვავის!

რამდენს უხდიან და როგორ ხდებიან ქრისტიანი პატიმრები „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლები

გვ. 9

პატიმრის დღიური

ნარჩენების ფილოსოფია

დიტო გელოვანი

კითხვა: მაშასადამე, თქვენ ჟანდარმერიის ოფიცერი იყავით? პასუხი: დიახ. კითხვა: რას აკეთებდით ომის დამთავრების შემდეგ? პასუხი: როგორც ჟანდარმთა ყოფილ ოფიცერზე, ჩემზე ვრცელდებოდა ბრძანება წმენდის შესახებ და ოფიციალური თანამდებობის დაკავების უფლება არ მქონდა. მეტიც, ჩვეულებრივ კომპანიებში მუშაობის უფლებაც კი არ მქონდა და, რომ მეარსება, დროებით სამუშაოზეც თანახმა ვიყავი. 1950 წელს შემთხვევით შევხვდი იდოხარას, რომელმაც ის-ის იყო, სატრანსპორტო კომპანია „ორიენტი“ დააარსა. შემომთავაზა, მასთან დამეწყო სამსახური და დირექტორ-მმართველის თანამდებობაზე დამნიშნეს. კითხვა: როგორ გაიცანით იდოხარა? პასუხი: ომის დამთავრების წინა პერიოდში ის სამხედრო მომარაგების სამინისტროში მუშაობდა და ჩემთან მოხვდა დაკითხვაზე ერთი დანაშაულის გამო, რომელიც მაშინ ჩაიდინა.

(სეიტე მაცუმოტო, „მკვიდრთა სამყარო“)

რამე ხომ არ გეცნობათ? ალბათ, არა. ალბათ კი არა, ნამდვილად არ გეცნობათ. ეს იქ იყო, იაპონიაში, ჩვენთან ეგრე არ ყოფილა, რომ დამნაშავე დაესაჯათ, წმენდის ბრძანება გამოეცათ, ოფიციალური, სახელმწიფო თანამდებობა კი არა, ჯიხურში მუშაობის უფლებაც არ ჰქონოდა და ყველას, დღევანდელსაც და ხვალინდელსაც რომ სცოდნოდა, ჟანდარმობა, კუდობა, სოდობა და სხვა უამრავი მამაძაღლობა, საერთო სახელი ნაცობა და რუსთავიორელობა რომ ჰქვია, დასჯადია და ასეთი დასჯადობის გარეშე, სახელმწიფოს კი არა, სტადიონს ვერ ააშენებ, მაგრამ თუ სტადიონი აშენებული დაგხვდება, იქ შესასვლელ ბილეთს ვერ გაყიდი.

მურუსიძე მოსამართლეობს, თორდია ითვლის, ქადაგიძე რეცეპტებს წერს, შიხიაშვილი დაყელყეულაობს, ხოლო სიჭინავას წამმზომი უჭირავს და აქეთ გვამუნათებს: „ტემპი ხო კლებულობს, ტემპი!“

იყო ასეთი ტემპერამენტიანი ნიუსი: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას განცხადებით, ბილეთების გაყიდვის ტემპი ძალიან ცუდია. როგორც სიჭინავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხბურთის ფედერაცია დღეს, 18:00 საათზე გააკეთებს განცხადებას, თუ როგორ გაგრძელდება ბილეთების გაყიდვა. „გაყიდულია 2300 ბილეთი. ეს ძალიან ცუდი ტემპია. ამიტომ ჩვენ ალბათ, 18:00 საათისთვის ვიტყვით, როგორ გაგრძელდება ამ ბილეთების გაყიდვა და როდის. ჩვენ მზად ვართ, გავყიდოთ ბოლომდე, მაგრამ ღამე ხალხს ვერ გავაწამებთ“, — განაცხადა სიჭინავამ“.

ნიუსის კითხვის დროს, თავიდან აგრესიულად განვეწყე, მაგრამ „ღამე ხალხს ვერ გავაწამებთ“-ზე, ცოტა არ იყოს, გული მომილბა. მართლაც, რა უნდა ქნას დომენტიმ, მარტო მუშაობს (რიჟა მოადგილე ძაან რიჟას ბაზრობს) და მარტო კაცი სფფ-შიც ბრალიაო, ნათქვამია. ბევრი შემომედავება და ერთ ძველ გადაცემას გაიხსენებს — „მრავალსახეობა ეკრანისა“ — და ასე გადააკეთებს: „მრავალსახეობა დომენტისი“.

კაცი-ცირკი, კაცი-ჩოლკა, კაცი-იოლკა, კაცი-იგრუშკა, კაცი-ასტანოვკა, კაცი-ოჩერედი, კაცი-რასტოვი, კაცი-კრასნადარი, კაცი-გასტრანომი, კაცი-კანიაკი...

მთელი გასული კვირა ლაინად ვერთობოდით — კაცთა ბილეთები, ქალთა კვოტები, ენჯეოთა განცხადებები, გაერთიანებულ დემოკრატთა ვიზიტები, თავისუფალ დემოკრატთა პროტესტები, კრავთა დუმილი, ნაცთა ბღავილი და ვიტამინები. უფრო სწორად, ვიტამინი იყო ერთი — კლუბი „ვიტამინი“. დადგება დღე, ამ კლუბს სახელს შეუცვლიან, დაარქმევენ „დიარეას“ და მის ფონზე სურათს გადაიღებენ შუა და საჩვენებელთითშემართული გოგო ბიჭები, რომლებიც წლების შემდეგ გაიგებენ, რომ შუა და საჩვენებელი თითების ერთად აღმართვა მოსალოდნელ გამარჯვებას აღნიშნავს, ხოლო სიტყვა დიარეა — მოულოდნელ ტრაწს.

რაც შეეხება სუპერთასის ბილეთების გაყიდვას, ეს ნამდვილად მოსალოდნელი ტრაწი იყო, რადგან, როგორც ცნობილია, თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე ზვიად სიჭინავა კიდია, მეორე მოქმედებაში აუცილებლად ისმის მისი სიტყვები: „ბილეთები ხვალ, 09:00 საათიდან გაიყიდება. შევადგინეთ კომისია, რომელიც 08:00 საათზე ჩაიბარებს ბილეთებს, მიაწვდის სალაროებს და მოხდება მისი ნორმალურად გაყიდვა. ამის გარანტიას ჩვენ გაძლევთ. მინდა, მივმართო გულშემატკივრებს, არ აყვნენ პროვოკაციებს. დაიცვან „ცოცხალი რიგი“. როგორც იცით, ვაკის პარკში ჯებირებია დამონტაჟებული და „ცოცხალი რიგი“ დაიწყება სწორედ იქიდან, ანუ პირველი 50 კაცი 09:00 საათზე წამოვა სალაროსთან. ასევე, 07:00 საათიდან დამონტაჟდება ბიოტუალეტები და იქიდან გამომდინარე, რომ მზიანი ამინდია მოსალოდნელი, დაიდგმება სასმელი წყლისთვის მაცივრები. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქნება გაკეთებული, რომ გულშემატკივარმა კომფორტულად იგრძნოს თავი“.

ხოლო სპექტაკლის დასკვნით ნაწილში ჩემი მეგობარი სააგენტო ასეთ ნიუსს ავრცელებს: „უეფას სუპერთასის მატჩის ბილეთების შეძენის მსურველების ნაწილმა ვაკის პარკში კარვები, ნაწილმა კი ჰამაკი გაშალა. ფეხბურთის გულშემატკივრები ამაღამაც ვაკის პარკში დარჩენას გეგმავენ, რათა „ცოცხალ რიგში“ საკუთარი ადგილი შეინარჩუნონ.

ვაკის პარკში შეკრებილთა კიდევ ერთ ნაწილს პარკის ტერიტორიაზე პლედები აქვს გაშლილი და მასზე არიან მოთავსებულნი. რაც შეეხება სისუფთავის კუთხით არსებულ მდგომარეობას, პარკი საგრძნობლად დანაგვიანებულია. ტერიტორიაზე ყრია ბოთლები, სიგარეტის კოლოფები და სხვა სახის ნარჩენები“.

მინდა, ჩემს მეგობარ სააგენტოს მოკრძალებით შევუსწორო — ვაკის პარკში მხოლოდ ბოთლები და სიგარეტის კოლოფები ყრია, სხვა სახის ნარჩენები კი სხვაგან ელოდებიან დამსუფთავებლებს — ფეხბურთის ფედერაციაში, სასამართლოში, პოლიციაში, პროკურატურაში, ეროვნულ და ანტიეროვნულ ბანკებში, ავლაბრის სასახლეში, მედიაში, ხელოვნებაში... და სად აღარ!!! და რადგან ეს ჩამონათვალი სიჭინავა-არველაძის კანტორით დავიწყე, აქვე გეტყვით, რომ ევროპის ლიგიდან ქართული ფეხბურთის ნარჩენები საბოლოოდაა გატანილი: „სამივე ქართული საფეხბურთო კლუბი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს პირველივე ტურიდან გამოეთიშა. „ცხინვალი“ შინ რუმინულ „ბოტოშანთან“ 1:3 დამარცხდა (ორი მატჩის ჯამში 1:4), თბილისის „დინამომ“ სტუმრად აზერბაიჯანულ „გაბალასთან“ 2:0 წააგო (2:3), ხოლო ბათუმის „დინამო“ ასევე სტუმრად კვიპროსულ „ომონიასთან“ 2:0 დამარცხდა (1:2)“.

ბავშვობაში ერთი მაგარი სიზმარი ვნახე — ვითომ მამამ სტადიონზე წამიყვანა, „ლივერპულს“ ვეთამაშეთ, წვიმდა და სამით ნოლი მოვიგეთ. ვითომ, ხალხი მაგარი ბედნიერი იყო. ეგეთი სიზმარი ბევრი მაქვს ნანახი, ხან „ფეინოორდს“ ვეთამაშებოდით, ხან „ინტერს“, „ნაპოლის“, „ტოტენჰემს“... სიზმარი მაგარი რამეა, ოღონდ თუ კარგად აგიხდება.

გამიგია, თუ სიზმარში ტაჰამატას ნახავ, ცხადში ზვიად სიჭინავას გადაეყრები და თუ ცხადში რეზო არველაძე შეგხვდება, სჯობს, არ დაიძინო, თორემ სიზმარში საქართველოს ნაკრებს რეიტინგში პალესტინა და ავღანეთი გაუსწრებენო. ავღანეთი, სადაც ბურთის გაგორებაზე ხალხს თავებს ჭრიან.

სხვა თემებზე უნდა გადავიდე, მინდოდა მეთქვა, ფეხბურთი იქით იყოს-მეთქი, მაგრამ ფეხბურთი ისედაც იქით არის და რა ვიცი, ალბათ ის დროც დადგება, როცა ფეხბურთის ხსენებაზე კარავი, ჰამაკი, ზვიად სიჭინავა და ბიოტუალეტი არ გაგახსენდება, ხოლო ბიოტუალეტის დანახვაზე — მესი, სუარესი და ნეიმარი.

ყოველ შემთხვევაში, გასული კვირიდან მოყოლებული ისეა, რომ თუ ოცი პოლიციელი მაგრად გცემს, მეორე დღეს სოლარიუმში უნდა წახვიდე. ეს ქალებს ეხება, გასულ კვირაში ხომ რამდენიმე დღე მთავარი თემა კიკიანის ქალის ცემა იყო. გაიხარა მშრომელმა ხალხმა — იმედმა, რუსთავმა, საზმაუმ. დამთავრდებოდა სერიალი, რომელშიც ნაზად ეფერებიან თურქის ქალებს და იწყებოდა საინფორმაციო, რომელიც გვამცნობდა, როგორ სცემა ოცმა პოლიციელმა კლუბის მენეჯერი ერთი გოგონა, რომელიც „ნას მალა ნო მი ვ წელნიაშკახ“-ს პონტში (პლუს სოლარიუმი) ერთობ ყოჩაღად ყვებოდა რაღაცას, „ჯეინ ეარსა“ და „კურტიზანი ქალების ბრწყინვალება და სილამაზეს“ შორის.

იმ ამბავს აღარაფერი ეშველება, მაია ასათიანის აცრემლებული და ნანუკა ჟორჟოლიანის დაჭყეტილი თვალებიც ვეღარ უშველის. იქნებ, ისიც გაგვახსენდეს, დოდო აბაშიძის ალექსანდრე რომ ეუბნება თემურ წიკლაურის ბელაფონტეს — კარგი უქნიათ, რომ გცემეს, ალბათ დააშავეთ რამეო.

ცემა იყო, პროვოკაცია თუ, საერთოდ, არაფერიც არ ყოფილა, ამას, იმედია, გამოძიება დაადგენს, მაგრამ უკვე ვხედავ ყვითელი ჟურნალების მყვირალა სათაურებს: „სად მოხვდა ყველაზე მეტი პანღური ეკა კიკიანს?“, „რა აქვთ საერთო ეკა კიკიანს და ეკა ყურშიტაშვილს?“, „ვისმა წყვლამ უწია კლუბის მენეჯერს?“...

მაგრამ, ეგ ცოტა მერე იქნება, 11 აგვისტო რომ ჩაივლის. 11 აგვისტომდე მთავარი თემა არის სუპერთასი და საქმეს ისეთი პირი უჩანს (პირი ნამდვილად უჩანს), ვინც ბილეთების აჟიოტაჟს გადაურჩება, ერთი კარგი სურათი უნდა გადაიღონ უცნობი ჯარისკაცის ფონზე. იქნება თუ არა მათ შორის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობის ყოფილი დეპუტატი გიორგი ნემსაძე? რამდენიმე საათია ეს კითხვა ყველას აწუხებს. სწორედ რამდენიმე საათის წინ თქვა ნემსაძემ ეს სიტყვები — „როგორც ნორმალური მომაკვდავი ადამიანი, ჩავეწერე რიგში ორი დღით ადრე“.

წარმოგიდგენიათ?! ბილეთების რიგში უკვე მომაკვდავი ხალხი ეწერება. მე ვიცი, რომ ქალბატონს, ბავშვს და მოხუცს ადგილი უნდა დაუთმო, გზაზე გადასვლაში მიეხმარო, ჩანთა წაუღო და ა.შ. ასე ვიზრდებოდით, ასე გვზრდიდნენ და ახლა იმ დონეზე დავეცით, რომ ნორმალური მომაკვდავი კაცი ბილეთების რიგში დგას და რიგი და ოჩერედი რომ იყოს, ეგ კიდევ არაფერი. ზედახორაა, ნამდვილი ზედახორა.

სამ რაღაცას ვაკეთებთ სულ ტყუილად — ტყუილად ვაკაკუნებთ ევროკავშირის კარზე, ტყუილად ვაბრახუნებთ ნატო-ს ჭიშკარზე და ტყუილად გვაქვს იმედი, რომ სამოთხის ალაყაფი გაგვეღება, რასაც ეს ნიუსიც ადასტურებს: „ზოგიერთი დეპუტატი სხდომას, მგონი, იმიტომ აცდენს, რომ კუჭი აქვს აშლილი“, — ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატმა თემურ მაისურაძემ განაცხადა. განხილვის საგანი სურსათის უვნებლობა და გენმოდიფიცირებული პროდუქციის ეტიკეტირება იყო. „საზამთროსა და ნესვის გამო ნახევარი თბილისი კუჭის აშლილობით დადის. როდესმე ვინმე შეამოწმებს, რა საზამთრო და ნესვი იყიდება? ბავშვი საზამთროს მთხოვს, მეშინია და ვერ ვყიდულობ. ვინმე ამას შეამოწმებს? ასეთ საზამთროს ვინმე გაანადგურებს, რომ იცოდნენ, რომ მომავალ წელს ამ საზამთროს მოყვანა არ შეიძლება? ყველამ ვიცით, რა სერიოზული პრობლემაა. შარშან ჩემს ოჯახში სამჯერ მოწამვლის პრობლემა იყო. წელს ჩვენ არ გვიჭამია, მაგრამ მეზობლებს კუჭი აქვთ აშლილი და დარბიან. ზოგიერთი დეპუტატი სხდომას, მგონი, იმიტომ აცდენს, რომ კუჭი აქვს აშლილი“, – განაცხადა თემურ მაისურაძემ“.

რაც უნდა ტრაწიანები იყვნენ, მე მაინც ვენდობი ხალხის რჩეულებს. ხალხის რჩეულები არიან და იმიტომ. ნუ დაიწყებთ, ბიძინა ივანიშვილის რჩეულები არიანო. ცოტათი ჩვენც ავიღოთ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ 150 კაცი და ქალი ხელფასს იღებს და ნაცვლად იმისა, რომ ნატო-ს კარზე აკაკუნებდნენ, დგანან და საპირფარეშოს კარს ურტყამენ მელოტ თავს და თანაც — ამაოდ.

ვერ იკავებენ! ვეღარ იკავებენ!!!

და, შესაბამისი ღონისძიებაც ჩაატარეს: „საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში, დღეს კონფერენცია გაიმართა, თემაზე — „დაბერების პოლიტიკა საქართველოში“. კონფერენცია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის ინიციატივით გაიმართა, საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდთან, გაერო-ს მოსახლეობის ფონდისა და აშშ საერთაშორისო დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობით“.

ამ მართლა ერთი, ტრაწიანი კონფერენციის მოწყობას რად უნდოდა ორი ფონდი, ერთი სააგენტო და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე?! მაგრამ, ხომ გეუბნებით, ვეღარ იკავებენ-მეთქი. აღარ შეუძლიათ და, შეეკითხეთ, თუ გინდათ! აქ ასაკში კი არ არის საქმე, საქმე გაგებაშია. 20 წლის ბებერიც მინახავს და 80 წლის ხუნტრუცა ბიჭიც. გაგებაა მთავარი, გა-გე-ბა!!!

ა, ბატონო, ნიუსი 20-25 წლის ბებრებზე: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 9-10-11 ივლისს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში, თანამედროვე ქართველი მწერლების 5-კაციანი მობილური ჯგუფი აჭარას ესტუმრება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურის სამინისტროდან აცნობეს, ჯგუფის შემადგენლობაში არიან მანანა ჩიტაშვილი, ელა გოჩიაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, გურამ მეგრელიშვილი, არჩილ ქიქოძე“.

ესენი არიან ცოცხალი წიგნები? ეს ფარდული შეჰფერის ჩვენს ეპოქას? ისა და... 5-კაციანი ჯგუფიო და... ვაჰ... მანანა და ელა კაცები არიან?

ახლა კი ვხვდები, რამხელა მნიშვნელობა აქვს გენდერს, ახლაღა ვხვდები... დებილი ვარ, აქამდე რომ ვერ ვაცნობიერებდი პრობლემის არსს და მასშტაბს. მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებისთვისაც არაფერია დაფარული და ამიტომ მე პურის ოჩერედში ვკვდები, ვიღაცეები — ვიზის ოჩერედში, სხვები — ბილეთების ოჩერედში, გენდერული თანასწორობის ჯილდო კი სულ სხვას გადაეცემა: „საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, დღეს გენდერული თანასწორობის კონკურსის დაჯილდოების ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო. ქვეყნის პირველ პირს გენდერული თანასწორობის საკითხებში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური ჯილდო გაერო-ს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ გადასცა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, შომბი შარპმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა 2015 წლის ქალთა და გენდერული თანასწორობის წლად გამოცხადებისთვის“.

მავიწყდებოდა... პარლამენტართა დახასიათებისთვის ეს ნიუსიც უნდა წაიკითხოთ: „თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიადის ორგანიზებისთვის პარლამენტი ავტომანქანებს გამოყოფს, რომელიც მას EBRD-ის კონფერენციის ფარგლებში გადაეცა.

როგორც ბიუროს სხდომაზე დეპუტატმა ლერი ხაბელოვმა განაცხადა, ავტომანქანები ოლიმპიადის წარმომადგენლებს 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე უნდა ათხოვონ. ხაბელოვის ამ განცხადებას დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ მანქანები პარლამენტსაც სჭირდება და 15 ივლისიდან ორ აგვისტომდე პერიოდი საკმაოდ დიდია. კომენტარი გააკეთა პარლამენტის ვიცე სპიკერმა, მანანა კობახიძემაც. როგორც მან აღნიშნა, ეს საკითხი არა ბიუროს, არამედ ხაზინადართა საბჭოს განსახილველია“.

მოკლედ, მანქანები პარლამენტსაც სჭირდება. ლევომიციტინის ახალი პარტიაც ხომ ჭირდებათ? არ არიან ნორმალურები. უფრო სწორად, ეგენი არ არიან ნორმალური მომაკვდავები, რადგან ნორმალური მომაკვდავები ბილეთების რიგში დგანან, ეგენი კი, აგერ ნახავთ, 11 აგვისტოს, სუპერთასის მიმდინარეობისას, ყველანი სტადიონის სამთავრობო ლოჟის ტუალეტის კართან იქნებიან ჩამორიგებულნი.

დღეს რაღაც ძალიან ხშირად ვახსენებ პარლამენტს და პარლამენტარებს, მაგრამ სულაც არ არის ჩემი ბრალი, საკუთარ თავს მოკითხონ. მაგალითად, გასულ კვირაში, გოგი ქავთარაძემ ტუჩები ზიზღით რომ მოპრუწა — რას გვახვეწნინებენ ამ ნატო-ში შესვლასო — დავით დარჩიაშვილს წვერები სიძულვილით აეჯაგრა: „მსგავსი ანტიდასავლური განცხადება უკვე მესამეა, რომელსაც აკეთებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში ჩემთვის ცალსახაა, რომ ამის უკან დგას „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით“.

კიი, ბიძინა ივანიშვილი მართლაც ბევრი რამის უკან დგას და ჰა, რამე რო იყოს, ბარე ორი ნაციონალ-პარლამენტარის დედა აღიარებს, რომ ამ ქვეყნად მათი შვილების მოვლინებაშიც ბიძინა ივანიშვილი ურევია.

მე არ ვიცი, რაში ურევია ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ „თეგეტა მოტორსის“ პიარსამსახურის ღონისძიება მხოლოდ კოხოძის დამსახურებაა.

„10 ივლისს გეგეშიძის ბაღში საბურავების მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გაიმართა. 13 საათზე საბურავების კავშირის ხელმძღვანელი, საბა ურავია, მიმართავს აქციის მონაწილეებს და კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსირებს საბურავების სათქმელს. საბურავები მოუწოდებენ ადამიანებს, მეტი ყურადღება მიაქციონ საბურავს და შესაბამისად საკუთარ უსაფრთხოებას. მათი თქმით, არასეზონური და გაცვეთილი საბურავების მოხმარება საფრთხეს უქმნის მათი მფლობელებისა და მგზავრების სიცოცხლეს. დამატებითი ინფორმაციისთვის, თბილისელი მძღოლების დაახლოებით 35% უკიდურესად გაცვეთილი საბურავებით გადაადგილება, ხოლო 20% ზაფხულში ზამთრის საბურავს მოიხმარს. საბურავების დემონსტრაციის მხარდამჭერია თეგეტა მოტორსი, განახლებული ფასებით საბურავებზე“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

ის დროა, „თეგეტა მოტორსმა“ ხელი საბურავზე მოისვას და გაარკვიოს, ჟანგიანი ლურსმანი რომელ პროტექტორში აქვს გარჭობილი.

ნელ-ნელა ბოლოსკენ წავალ. არადა, რამდენი რამ არის გასახსენებელი — ნინო ბურჯანხორბალაძის მოგზაურობა რუსეთში, უფლისციხის ნაკრძალის დირექტორის დაკავება, კულტურის სამინისტროში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაკავებული შენობის ირაკლი ოქრუაშვილისთვის გადაცემის საკითხი და სხვა, თუმცა გენდერი მაინც გენდერია, უგენდერო ქვეყანა იგივეა, რაც უპატარძლო ქორწილი, უპატარძლო ქორწილი კი არასამთავრობო ორგანიზაციის სემინარს წააგავს, ეს კი ცუდია.

ნახეთ, რა მაგარი რამ მოხდა! წაიკითხეთ, გაეცანით, დაფიქრდით! ანშანტეე!!!

„თბილისის საკრებულოს დეპუტატები სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ „თბილისის გენდერული ფორუმის“ შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრნენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოდან აცნობეს, შეხვედრას ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რიმა ბერაძე, ადამიანის უფლება დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე, ლილოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გულიკო ზუმბაძე, ვარკეთილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ია მაკარასაშვილი და წარმომადგენლობითი ორგანოს ფრაქციასთან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ არსებული ეროვნულ უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, მარგალიტა ხიდირბეგიშვილი დაესწრნენ“, — აი, ეს იყო ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში.

მაგარი იქნებოდა, ჩემს მეგობარ სააგენტოს რომ შეშლოდა და ასე დაეწერა — „საკრებულოს ოთხკაციანი დელეგაცია...“ და ჩამონათვალი: „რიმა, გულიკო, ია და მარგალიტა“.

მაგარი კაცები, მოხერხებულები, მოუხელთებლები.

აი, თქვენ კი გაქრით მომავალი არჩევნების წინ!!!

მარგველაშვილმა იმ გენდერული ჯილდოს მიღებაზე რომ თქვა, წარმატებულ ქალთა რიცხვი ყოველდღე იზრდებაო, კაცებმა ეგრევე საპასუხო პენალტი დაურტყეს, რაც ნიუსად ასე გავრცელდა: „ვაკის პარკში ფეხბურთის ბილეთების შეძენის მსურველთა რიცხვი ყოველ წუთს იზრდება“.

აბა, რა! კაცად უნდა ვარგოდე, თორემ წვერ-ულვაში კონჩიტასაც კი აქვს.

უ.უ. (უი, უი!) ისინი ძალზე მოხერხებულად და ეშმაკურად მოქმედებენ და არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემენ გამოაშკარავების საშუალებას. მათი დაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის გავლენიანი ბოსი თავის შესაძლებლობებთან შედარებით ხელგაშლილ ცხოვრებას დაიწყებს. მაგრამ, მაშინაც კი, გამოაშკარავება ოპოზიციური პარტიების მხრიდან კი არ მოხდება, არამედ იმავე მმართველი პარტიის მტრულად განწყობილი ფრაქციისაგან მიღებული საიდუმლო ინფორმაციის წყალობით.

(სეიტე მაცუმოტო, „მკვიდრთა სამყარო“)

„ხიდაშელი თავისი „სარდლობის“ დიდ ნაწილს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უთმობს!“

ლევან მამალაძემ სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში 386-გვერდიანი სარჩელი შეიტანა!

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე „ვერსიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის. მისი განმარტებით, იუსტიციის საბჭო დღესაც სააკაშვილის დაქვემდებარებაშია და მოსყიდული მოსამართლეებისგან გაწმენდას დაუყონებლივ საჭიროებს. „ვერსიასთან“ მამალაძე თინა ხიდაშელთან დაპირისპირებაზეც საუბრობს და ამბობს, რომ თავდაცვის ახალი მინისტრი თავის „სარდლობას“ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის იყენებს. მამალაძე არც პრორუსულ კურსს იწონებს და არც პროდასავლურს, მისთვის, როგორც ამბობს, ერთადერთი გამართლებული სახელმწიფოებრივ ღირებულებებზე დაფუძნებული კურსია. იმედოვნებს, რომ ახლადშექმნილი მოძრაობით — „სახალხო სამართალი“ სამართალს იპოვის და ქვეყანაში დაბრუნებას ღირსეულად შეძლებს.

— ბატონო ლევან, ემზარ კვიციანსა და სულხან მოლაშვილთან ერთად საზოგადოებრივ მოძრაობა „სახალხო სამართალს“ აყალიბებთ. რატომ მაინცდამაინც „სახალხო სამართალი“?

— „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო, რაც შერჩევით, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის აღდგა. ათასობით ადამიანი კი, ვინც აწამეს, გააუპატიურეს და ბიზნესი ჩამოართვეს, უყურადღებოდაა. მოძრაობა „სახალხო სამართლის“ შექმნით ხალხს რეალური იმედი გაუჩნდა. „ოცნებამ“ საზოგადოების მხარდაჭერა სამართლიანობის აღდგენისთვის მიიღო და რადგან ხელისუფლება დუმს, მოსყიდულ, მოძალადე პროკურორებსა და მოსამართლეებს ხალხი თვითონ დაასახელებს და ხელისუფლებაში მოკალათებულ მათ მფარველებს სააშკარაოზე გამოიყვანს. სამართალს ხალხი აღადგენს!

— მოძრაობის შექმნა კვიციან-მოლაშვილთან ერთად რატომ გადაწყვიტეთ?

— სახალხო მოძრაობას ლიდერი არ ეყოლება, თითოეული პიროვნება გვერდში დაუდგება და სიმართლის მისაღწევად, დამერწმუნეთ, ათასობით ადამიანის მხარდაჭერასაც მიიღებს! სააკაშვილმა სულხან მოლაშვილი ციხეში ჩასვა და აწამა; ემზარ კვიციანი კოდორს იცავდა, თუმცა ისიც მტრად გამოაცხადა და ციხეში ჩასვა. ყველაფერი ეს ჩვენს თავზე გამოვცადეთ და კარგად ვიცით, უსამართლობას როგორ ვებრძოლოთ. სწორედ ეს გვაერთიანებს.

— თქვენი აზრით, პოლიტპატიმრის სტატუსი დღემდე რატომ არ გაქვთ? სხვადასხვა გამოსვლისას რამდენჯერმე თინა ხიდაშელი ახსენეთ. დაპირისპირებულები ხართ?

— თინა ხიდაშელი თავიდანვე სააკაშვილის რეჟიმის „გამპრავებელი“ იყო. ახლა კი, როგორც სააკაშვილი აცხადებს, ელჩის ჩარევით, მინისტრობა უბოძეს. 2003 წელს სააკაშვილმა სწორედ ხიდაშელი მომიჩინა, რომ ბოლნისში არ გამემარჯვა, მაგრამ ვერაფერს გახდა და გადამეკიდა. გადატრიალება რომ მოახდინეს, ხიდაშელის ინიციატივით, ცესკო დაშალეს და უზენაესი სასამართლოს წევრები მუქარით გაყარეს. მაჟორიტარი დეპუტატობა უკანონოდ გამიუქმა და ამით ამაყობდა. ხიდაშელი თავისი „სარდლობის“ დროის დიდ ნაწილს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უთმობს.

— ერთხელ განაცხადეთ, რაც უფრო მალე ჩამოიშორებს „ქართული ოცნება“ ხიდაშელ-უსუფაშვილის დუეტს, ვითარება უფრო მალე დალაგდებაო. რას გულისხმობდით?

— უკრაინული მედია აფიქსირებს, რომ ეგენი მიშას კიევში ხვდებიან და საერთო მოქმედების გეგმა აქვთ, მაგრამ სიტუაცია რომ აირიოს, პირველები გადახტებიან. ბინძური პოლიტიკური თამაში მიდის. ურეიტინგო ხიდაშელ-უსუფაშვილმა უმაღლესი სახელმწიფო პოსტები მიიღეს. „ქართული ოცნება“ პარტიას ვერ ავითარებს, ეგენი კი მთელ საქართველოს მოედნენ.

— ბატონო ლევან, თუ პოლიტდევნილის სტატუსს არ მოგცემენ, რა ზომებს მიმართავთ?

— პარადოქსი სწორედ ისაა, რომ ამდენი ხალხი მოატყუეს. პოლიტპატიმრის სტატუსი ნორა კვიციანსაც არ მისცეს, რომელიც სააკაშვილის პირადი მძევალი იყო. ჩემი საქმე პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითია, სააკაშვილი კონკურენტად აღმიქვამდა და პირადი ანგარიშსწორების გამო, ზოდები, რაშები და ბეჰემოტები მომიგონა. სააკაშვილის რეპრესიებს შეეწირა მამაჩემისა და ბიძაჩემის სიცოცხლე. ჩამოსვლა იმიტომ მინდა, რომ ღია სასამართლო გაიმართოს და ყველაფერს თავის სახელი დაერქვას.

— მიუკერძოებელ სასამართლოზე ხშირად საუბრობთ. უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეზე, ნინო გვენეტაძეზე რას ფიქრობთ, იცნობთ?

— ქალბატონ ნინოზე ბევრი კარგი მსმენია და საზოგადოებაც იმედით შეხვდა, მაგრამ ჯერ არაფერი შეცვლილა. სასამართლო სისტემაში რეფორმა ვერ დაიწყება, რადგან იუსტიციის საბჭოში ის პირები არიან, ვისაც შეკვეთილი უკანონო გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. იუსტიციის საბჭო დღესაც სააკაშვილს დაქვემდებარებული სტრუქტურაა. საზოგადოება ნინო გვენეტაძეს უნდა დაეხმაროს, მართლმსაჯულებას მოსყიდული მოსამართლეები ჩამოშორდნენ. პროკურატურაში 384-გვერდიანი საქმე შევიტანეთ, დამნაშავე გამომძიებლები და პროკურორები დადგენილნი არიან, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილი ჩემი საქმის ბოლომდე მიყვანას ყველანაირად ბლოკავს, რადგან ეს მისი გასამართლების დასაწყისი ინება. ახლა ვადგენ კონკრეტულ პირებს, ვინც პროკურატურაში მიშას დავალებით მოქმედებს. ეს საკითხები საზოგადოების რეაგირებისმიღმა არ დარჩება.

— აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავთ და თუ დაბრუნდებით, როგორი იქნება თქვენი საგარეო კურსი — პრორუსული თუ პროდასავლური?

— პოლიტიკაში 1987 წლიდან ვარ. 1992 წლის პარლამენტში ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი ვიყავი. პოლიტიკას არასოდეს ჩამოვშორებივარ. დაწერილი მაქვს საქართველოს განვითარების მოდელირების ვარიანტები 2050 წლამდე. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თანამდებობისკენ არ ვილტვი — იგივე ჭაობში შესვლას არ ვაპირებ. სამშობლოში მინდა დაბრუნება. ამ „პრო“ კურსებმა საქართველოს თავისი ადგილი საერთოდ დააკარგვინა. ისტორიული მეხსიერება არ გვეყო და შეიარაღებული კონფლიქტები გაჩაღდა, რაც რუსეთმა გამოიყენა და ტერიტორიები ჩამოგვაჭრა. საქართველოს ეროვნული ინტერესები დასავლეთის ქვეყნების ინტერესებსაა დაქვემდებარებული. ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს თუ დავამატებთ, 2025 წლისთვის შეუქცევადი კატასტროფული შედეგები გველის. ჩვენი სუვერენიტეტის ნაწილი სამხედრო პოლიტიკურ გაერთიანებებში განევრიანების დანაპირებზე არ უნდა გავცვალოთ. არ შეიძლება, ჩვენს ქვეყანას საფრთხე შევუქმნათ და გლობალურ დაპირისპირებაში სათამაშოდ გამოგვიყენონ. ჩვენი ნეიტრალიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტად უნდა ვაქციოთ და მასთან ვითანამშრომლოთ, ვინც პარტნიორად მიგვიჩნევს და მეგობრობას გვთავაზობს.

ჩემი კურსი ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე დაყრდნობილი იყო და არის!

— სამშობლოში დაბრუნების მთავარი საბაბი სააკაშვილთან ბრძოლა და შურისძიება ხომ არაა?

— ეს კითხვა მიშას უნდა დაუსვათ, პოლიტიკური ანგარიშსწორება და შური მისი უმთავრესი თვისებაა. მიშა პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიამ მოიყვანა და რაც დამართეს, იცით. შევარდნაძემ მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარედ გაამწესა, მერე იუსტიციის მინისტრად დანიშნა. გემახსოვრებათ, პარლამენტში მის ნაპირალ ჩაის როგორ დაეწაფა. ჩემი განადგურება უნდოდა და არ დასცალდა, მაგრამ ყველამ უნდა მოვიშოროთ პოლიტიკური წყენა და სამშობლოს ვუერთგულოთ!

— საზოგადოების ნაწილისთვის ლევან მამალაძე დღემდე შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსანია...

— არჩევანს ყველა თავისი ინტელექტიდან გამომდინარე აკეთებს. სააკაშვილის შექმნილი ვირტუალური რეალობის ზოგს დღესაც სჯერა და დარწმუნებულია, რომ ცხინვალში ომი მოიგო. მიშას მოტრფიალეებს ჩემზე შეთხზული ზღაპრებისაც დღემდე სჯერათ. ეს ადამიანთა შემეცნების ზომბირების მეთოდია. სააკაშვილმა თავისი მოურჩენელი სენი საზოგადოების ნაწილზე გაავრცელა, ეს კლინიკური შემთხვევაა — სოციალური პოლიფსიქოზი. ჩემი ბიოგრაფიის ერთი მომენტიც არ მეთაკილება. პირიქით, მუშაობა ურთულეს დროს მომიწია და უკან არ დამიხევია.

— 2003 წელს, „ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, განაცხადეთ, სააკაშვილი-ჟვანიას დაჯგუფებამ ხელისუფლების დასუსტების მიზნით, რუსეთიდან მილიონობით დოლარი მიიღოო. ეს ინფორმაცია საიდან გქონდათ?

— ეს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ღიად დავაფიქსირე. შესაბამისის მასალები პროკურატურაშიც იყო შეტანილი. თუ გაინტერესებთ, პროკურატურაში მოიძიეთ და რატომ არ გამოიძიეს, ეგეც ჰკითხეთ.

დასასრული მე-7 გვერდზე

პატრიარქი: „მრავალი განსაცდელის წინაშე ვართ, მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ!“

„ჩვენ ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ — განსაკუთრებით დღეს, როცა ამდენი პრობლემაა ჩვენი ერის, ყოველი ადამიანის და ოჯახის წინაშე“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამებაში, საკვირაო ქადაგებისას.

პატრიარქმა მრევლს ერთგულებისა და ერთმანეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ილია მეორემ მართლმადიდებელ ქრისტიანებს პეტრე და პავლე მოციქულების ხსენების დღეს მოულოცა და მათი ქადაგებებისა და ცხოვრების შესახებ ისაუბრა.

„პეტრე და პავლე არიან ერისა და ეკლესიის ორი სვეტი. პეტრე, რომელსაც ეწოდა ქვა, ააშენა ეკლესია კლდესა ზედა და ბრჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას. პავლე მოციქული, რომელიც მოსეს რჯულის აღმსრულებელი და ქრისტიანთა მდევნელი იყო, წმინდა ეკლესიის უდიდესი მოძღვარი, უდიდესი მქადაგებელი გახდა. პავლე მოციქული ამბობს: ურთიერთსიმძიმე იტვირთეთ და ესე აღასრულეთ რჯული ქრისტესი. ეს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ – განსაკუთრებით დღეს, როცა ამდენი პრობლემაა ჩვენი ერის, ყოველი ადამიანის და ოჯახის წინაშე.

„მცირესა ზედა იყავი ერთგული და დიდსა ზედა დაგედგინოს შენ“, – უფლის ეს სიტყვები მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის მხარდამჭერები, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის ერთგულნი. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი ერთგულებას არღვევს და იმ ადამიანს, რომელმაც სიკეთე გაუკეთა, ღალატობს ან ცუდით პასუხობს. წმინდა მოციქული პეტრე, რომელიც სარწმუნოების, სიმტკიცის, ერთგულების მაგალითია, ისიც კი შეშინდა, მაგრამ თავისი ერთგულება დაამტკიცა იმით, რომ ჯვარს თავდაღმა ეცვა. პეტრე მოციქულს თავი მოკვეთეს, როგორც რომის მოქალაქეს. ეს არის დღესასწაული, რომელიც გვაჩვენებს, როგორ ვიცხოვროთ, როგორ ვიაროთ, სად უნდა დავინახოთ სიკეთე და სად ბოროტება. ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ იმით, როცა ადამიანს ღმერთი გაუხსნის გულსა და გონებას“, — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

ეკა ბესელია: „ეს ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევაა“

ხურვალეთში მცხოვრები მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. ადგილობრივები ამბობენ, რომ გადმოწეული ე.წ. საზღვარი დამატებით საფრთხეს უქმნის, იზრდება მოსახლეობის გატაცების რისკებიც. საოკუპაციო ხაზთან არსებულ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს, მოსახლეობის და ჟურნალისტების უსაფრთხოებას შს სამინისტროს თანამშრომლები იცავენ.

სტრატეგიული ობიექტი ბაქო-სუფსის მილსადენი შესაძლოა საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდეს, რომლის ნაწილი სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე გადის.

„ეს არის ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევა“, — ეს განცხადება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ გააკეთა. ბესელია ფიქრობს, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს.

„იქნება ძალიან მკაცრი რეაგირება საერთაშორისო ორგანიზაციებში. ასეთი უკანონო ქმედების დროს გამოყენებული უნდა იყოს ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტი, ეს გამოიღებს შედეგს იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევა და საერთაშორისო ნორმების დარღვევა“, — აცხადებს ეკა ბესელია.

„თაიმერ.გე“

მამა პეტრე: „გიჟი ვარ!“

ვანო პავლიაშვილი

...შეხვედრაზე რომ შევუთანხმდი, მითხრა, ძარღვიანი შეკითხვები მოიფიქრეო. მივუგე, წინასწარ არასოდეს ვიცი, რა კითხვას დავსვამ-მეთქი... უნივერსიტეტის ბაღში თითქმის ერთდროულად მივედით. ნაბოლარა ქალიშვილი ჰყავდა ატატებული. მომიბოდიშა, გამაგრილებელ სასმელს ვუყიდი და ახლავე მოვალო. რა პრობლემაა, აგერ, ჩრდილში დაგელოდები-მეთქი... ნახევარ საათზე მეტი ვიუბნეთ. ბოლოს ვკითხე, აბა, რას იტყვი, კითხვები ძარღვიანი იყო თუ არა-მეთქი. იმის თქმის საშუალება მომეცა, რასაც ვფიქრობო... მორწმუნეებს, ათეისტებს, ჭეშმარიტად ეკლესიურებს, მოდასაყოლილ ეკლესიურებს, მოკლედ, ყველას გირჩევთ, ეს არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ აუცილებლად წაიკითხეთ! ისე, კარგი იქნება, თუკი მამა პეტრეს (კვარაცხელია), იგივე პეტრე კოლხის მსგავსი ბევრი, ძალიან ბევრი სასულიერო პირი გვეყოლება!

„არ ვმადავ: ეკლესიაში ძალიან დიდი შური არსებობს!“ — ვინ ესვრის ქვებს ყველაზე არაორდინალურ ქართველ მოძღვარს

— ჩემს 20-წლიან ჟურნალისტურ მოღვაწეობაში, სასულიერო პირთან ინტერვიუს, მგონი, მეორედ ვწერ... როგორ მოგმართოთ?

— მამა პეტრე, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზი, ექვსი შვილის მამა...

— ეს ყველაზე პატარაა?

— დიახ, ეს მეექვსეა.

— რა ჰქვია?

— სოფია-სერაფიტა... სხვათა შორის, ეს ჩემი და ჩემი მეულლის შეჯვარებაა, როგორც ბიოლოგიური, ასევე სახელის მხრივაც — სახელი ისე შევარჩიეთ, რომ ერთი მხარეც არ დაზარალებულა.

— სხვა შვილებს სახელები არაერთობლივად დაარქვით?

— სხვა შვილებს სახელები ჩემი ინიციატივით დავარქვით...

— უფროსი შვილი რამხელაა?

— 14 წლისაა და ვთვლი, რომ ჩემი საუკეთესო მეგობარია — შემიძლია, ნებისმიერ თემაზე ველაპარაკო.

— ისე, თქვენობით ვილაპარაკოთ თუ შენობით?

— შენობით ლაპარაკი, ალბათ, უფრო მართებული იქნება, რადგან ოფიციალური საუბარი არ მიყვარს...

— კოლხი რატომ დაირქვი?

— ეს ბანალური გადაწყვეტილებაა: პროფესიით ისტორიკოსი ვარ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კი არა, მსოფლიოს ანტიკურ ამბებსა და რაღაცებში ძიება ძალიან მიყვარს. ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან თავისი ადგილი უკავია — თუ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაზე ვისაუბრებთ, ჩვენი მიღწევები აუცილებლად უნდა გავიხსენოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადმონაშთია, რაზეც დღეს, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა დგას. მიუხედავად იმისა, რომ გარესამყაროსა და არაერთ წამყვან სახელმწიფოსთან კავშირიურთიერთობა ძველი აღთქმიდან გვაქვს, ეს დღეს თითქოს არ გვეტყობა, მაგრამ თუ რამეს წარმოვადგენთ, თანამედროვე პოლიტიკოსების მიღწევა და დამსახურება კი არა, სწორედ წარსულის აჩრდილების „ბრალია“. ერთ-ერთი ასეთი სწორედ კოლხეთის სამეფოა, რომელიც ჩემთვის, თავიდან ბოლომდე, მისტიკაა. წარმოშობითაც კოლხეთიდან ვარ და იქაური ტრადიციები თუ მიდგომები ძალიან მიყვარს.

— კახელებს, უფრო სწორედ, ქიზიყელებს რას გვერჩი?

— ჩემთვის საქართველო ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია.

— მეც ასე ვარ, მაგრამ მსოფლიოში კუთხურობა, მგონი, მხოლოდ ქართველებს გვახასიათებს...

— ჩემთვის კოლხეთი მხოლოდ ერთი, რომელიმე პოლიტიკური თუ გეოგრაფიული გაერთიანება კი არა, სრულიად საქართველოა! კოლხეთის კულტურა ძალიან დიდ ტერიტორიას მოიცავდა და ვფიქრობ, ჩვენი კულტურა, ტრადიციები და ისტორია სწორედ აქედან აღმოცენდა. ამიტომ, წინასწარდაუგეგმავად გადავწყვიტე, კოლხი გავმხდარიყავი.

— ამ გადაწყვეტილებაში გარკვეული როლი, ალბათ, ახალგაზრდულმა რომანტიზმმაც შეასრულა...

— რომანტიზმზე მეტად, ალბათ, ნოსტალგიამ — იქაურობა სულ მენატრება. ღმერთთან ყოფნისა და სიახლოვის სურვილიც იქ გამიჩნდა...

— მამაშენიც ხომ სასულიერო პირია?

— არა, არა, პირიქით, შეიძლება ითქვას, ათეისტია და ხელსაც მიშლიდა, მაგრამ ბუნებით ასეთი ვარ: სწორედ ის მაინტერესებს, რაშიც ხელს მიშლიან და მინდა, გამოვიკვლიო, პირველ რიგში, ხელს რატომ მიშლიან და, მეორეც, ეს ფაქტი ხელისშესაშლელი რამდენადაა.

— ესე იგი, თავისუფალი ხარ?

— დიახ, ძიებაში აუცილებლად თავისუფალი უნდა ვიყო, შეზღუდვებს არც ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს ვუწესებ. ჩარჩოში ჩასმული აზროვნება და შეხედულებები არ მიყვარს იმიტომ, რომ ღმერთი უჩარჩოოა. უფალი ჩარჩოში კი არ ჩააკრეს, ჯვარზე გააკრეს, ამიტომ თუ გვინდა, ჩვენი პიროვნება და ჩვენს გარშემო მდგომი ადამიანები რეალურად აღვიქვათ, ეს ხელოვნური ბარიერები და ჩარჩოები უნდა დავამსხვრიოთ!

— სასულიერო პირების ნაწილი მრევლს სწორედ ჩარჩოში ცხოვრებისკენ მოუწოდებს!

— ამას ეკლესია და წმინდა მამათა სწავლებანი არ გვაიძულებს. სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილი კი ჩემთვის ავტორიტეტს არ ნიშნავს! ჩემთვის ავტორიტეტი ისაა, რაც ახალ აღთქმაში წერია! ჩემთვის ავტორიტეტები ის წმინდა მამები არიან, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით მართლმადიდებლობას იცავდნენ და დამახინჯებული ფორმით სხვადასხვა რელიგიას არ ქნიდნენ! ადამიანებისთვის მართლმადიდებლობის დამახინჯებული ფორმით მიწოდება იგივეა, ათეიზმი ვიქადაგოთ!

— ჩვენი სასულიერო პირების ნაწილი საზოგადოებას მართლმადიდებლობას დამახინჯებული ფორმით აწვდის?

— იმით, რაც ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიაში ხდება, კმაყოფილი არ ვარ! ამბობენ, ეკლესია სახელმწიფოს უნდა გაემიჯნოს და პირიქით, სახელმწიფო — ეკლესიას, ორივე დამოუკიდებლად არსებობდეს, ერთმანეთის გადაწყვეტილებებში არ უნდა ერეოდესო, მაგრამ ცივილურ სამყაროში ეკლესიის არსებობა სახელმწიფოს ჩარევის და, პირიქით, სახელმწიფოს არსებობა ეკლესიის იდეოლოგიის გათვალისწინების გარეშე ვერ წარმომიდგენია, მით უმეტეს, ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტი ცდილობს, ეკლესიური გახდეს და ეკლესიურად იცხოვროს... ამიტომ სახელმწიფომ ამ 80 პროცენტის ინტერესი უნდა გაითვალისწინოს, სხვა შემთხვევაში, საზოგადოებასთან, ეკლესიასა და სახელმწიფოსთან წინააღმდეგობაში მოვალთ და ქაოსი შეიქმნება. არ ვამბობ, რომ ჩვენი ქვეყანა თეოკრატიული უნდა იყოს, მაგრამ, როცა ვამბობთ, რომ უმცირესობის ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს და როცა უმცირესობის ინტერესი იქნება გათვალისწინებული, უმცირესობა უკვე უმრავლესობაში გადავა, რადგან მას კანონი დაიცავს, ქვეყნის მოსახლეობის, პრაქტიკულად, 80 პროცენტი კი უმცირესობაში აღმოჩნდება — მისი ინტერესები გათვალისწინებული არ იქნება, კანონთან, მიდგომებთან წინააღმდეგობაში მოვა და პრობლემები შეექმნება. ეკლესიის სწავლება კი ისეთივეა, როგორიც პირველ საუკუნეში იყო და ვიდრე ქრისტეს მისტიური სხეული ანუ ეკლესია არსებობს, ასეთი იქნება, მაგრამ ამის გაგება ხშირად არასწორად ხდება. მოდი, ასე ვთქვათ: არასწორი, ეკლესიის სწავლება კი არა, გაგება და მიდგომაა.

— ვისი მხრიდან?

— პირველ რიგში, სასულიერო პირების მხრიდან.

— ეს მიზანმიმართულად ხდება თუ გაუნათლებლობის ბრალია?

— ეკლესიის მიმართ ფანატიკურად რომ ხარ განწყობილი, ეს არ ნიშნავს, რომ მორწმუნე ხარ, პირიქით, ღმერთთან, ეკლესიასა და, საერთოდ, ადამიანებთან შეიძლება დიდ წინააღმდეგობაში მოხვიდე. ღმერთთან მიმართებაში შენი სუბიექტური დამოკიდებულება შენი გადასაწყვეტია, მაგრამ, როცა სასულიერო პირი ხდები, ეს სუბიექტური დამოკიდებულება უნდა დაგავიწყდეს და, ადამიანებს აზროვნებაში პრობლემა რომ არ შეუქმნა და მათი სული არ დაამახინჯო, ზოგადი საეკლესიო სწავლებიდან უნდა გამოხვიდე.

— მამა პეტრემ კაბა რომ ჩაიცვა, ღმერთისადმი სუბიექტური დამოკიდებულება დაივიწყა?

— ამ კითხვას საკუთარ თავს ხშირად ვუსვამ და ვთვლი, რომ ეკლესიასა და ღმერთთან ურთიერთობაში დისკომფორტი არასოდეს შემქნია. ის კანონები, წესები და მოძღვრება, რასაც ქრისტე მასწავლის, ჩემი შემოქმედებითი ბუნებითა და ურთიერთგამომრიცხავი აზრებით ხშირად, შეიძლება, მერთულებოდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მომწონს, სიმშვიდეს მგვრის და არ ვთვლი, რომ რაღაც უნდა შევცვალო და ამ რელიგიას რაღაც დავამატო ან გამოვაკლო, პირიქით, ისეთი უნდა მივიღო, როგორიც არის.

— წეღან მითხარი, ღმერთთან კოლხეთში მივედიო... მე, რიგით მოკვდავსა და ცოდვილთა შორის ცოდვილს, ღმერთთან შუამავალი მჭირდება? ხომ შეძლება, ღმერთი სხვისი დახმარების გარეშეც ვიპოვო?

— იცი, რა არის? — ღმერთის პოვნა აბსოლუტურად სხვა რამაა. ღმერთი გულში შეიძლება ნაპოვნი გვყავდეს, მაგრამ კიდევ რაღაცას ამაოდ ვეძებდეთ. ღმერთთან მისასვლელად აუცილებლად გზაა საჭირო — თუ გზა ნაპოვნი არ გაქვს, ღმერთთან მისვლა შეუძლებელია. თუ მეტყვი, რომ საკუთარ თავში ღმერთი გზის გარეშე იპოვე, გიპასუხებ, რომ საკუთარი თავი ღმერთში გიპოვია!

— და ეს მკრეხელობაა?

— რა თქმა უნდა, ეს ხიბლის დამოკიდებულებაა. ადამიანი, რომელიც არასწორი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს და რომლისთვისაც ათი მცნება არ არსებობს, ამორალური და უზნეოა...

— მაპატიე, ამორალობას რა ეძახი?

— ამორალობა ღვთის მცნებების უარყოფა და გმობაა.

— უფრო კონკრეტულად?

— არა იმრუშო, არა იპარო...

— გიმრუშია?

— ნებისმიერი ადამიანი ცოდვით თუნდაც გონებაში ეცემა. ფიზიკური ქმედება და გონებაში ცოდვით დაცემა ერთი და იგივეა — შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

— მითხარი, ძარღვიანი შეკითხვები დამისვიო. ჰოდა, როგორც საერო მოძღვარს, გეკითხები: გონებით გიმრუშია?

— ხშირად...

— გონებით როგორი, ასე ვთქვათ, ტიპის ცოდვა ჩაგიდენია?

— მშვენიერება და ესთეტიკა მომწონს — შემოქმედი ვარ და მშვენიერების აღქმას, სილამაზეს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. სამყარო მშვენიერია, სამყარო მშვენიერებისთვის შეიქმნა და არც უარვყოფ, რომ ვიზუალურად კარგი ადამიანები მომწონს. ყოველთვის ვცდილობ, ადამიანში კარგი მხარე დავინახო.

— ადამიანში კარგის დანახვა, არ მგონია, მრუშობა იყოს...

— ეს მრუშობა არაა...

— ანუ კარგის დანახვას ვნება მოყვება?

— რა თქმა უნდა... შემოქმედი ვარ და ლექსებს ვწერ...

— უბრალოდ, ლექსებს კი არა, ჩემი აზრით, ძალიან კარგ ლექსებს წერ...

— თუ სილამაზეში რაღაც ისეთი არ დავინახე, რაც ჩემში ემოციას არ გამოიწვევს, ვერაფერს დავწერ! როცა დღეს უკვე ჰიტადქცეულ ლექსს — „შენ თვალებიდან აპრილი გცვივა“ ვწერდი, შთაგონების წყარო, რა თქმა უნდა, მყავდა. რახან სასულიერო პირი ვარ, ვერ მოგატყუებ და ვერ გეტყვი, ყველა ჩემი ლექსი მეუღლეს ეძღვნება-მეთქი, ასე არაა...

— გიფლირტავია?

— რაც სასულიერო პირი გავხდი, არა...

— ვნებას როგორ თოკავ?

— ეს რთული არაა — გონებაში უნდა გადავწყვიტო, არ მინდა და მორჩა! ვნებებით სავსე ვარ, ვნებაში მხოლოდ მრუშობას არ ვგულისხმობ. ვნება გაზაფხულისადმი, შემოდგომისადმი, მზისადმი, ზღვისადმი ტრფიალია. როცა შენში სამყარო ასე დუღს და კანში, მით უფრო, სამღვდელო ჩარჩოში ვერ ეტევა, ადვილი არაა, ყველა ემოცია, ფიქრი გააკონტროლო და მხოლოდ ლექსში მოაქციო. ლექსში მოქცევით შენს შინაგან სამყაროს უფრო მეტ გასაქანს აძლევ იმიტომ, რომ ამ ლექსით მხოლოდ შენ კი არა, იმ ადამიანებსაც ამეტყველებ, ვინც შენნაირია, შენეულია, უბრალოდ, ის ნიჭი, რასაც წერა ჰქვია, არ აქვთ და, მათაც გზას უხსნი. ასეთი მიდგომით საკუთარი თავისთვის ხშირად სერიოზული საფრთხე შემიქნია!

— რას გულისხმობ?

— მაგალითად, მოუწერიათ, უი, როგორი უცნაური და საინტერესო ხარ; თუ სიყვარულზე ლექსს წერ, მაშინ შეგიძლია, ვიღაც შეიყვარო კიდეცო...

— რატომ არ შეიძლება, შეიყვარო?

— სიყვარული სხვა რამაა. ვიღაცას სიყვარული ვნება — ერთჯერადი ურთიერთობა ჰგონია.

— მე თუ მკითხავ, ვნება სიყვარულის კულმინაციაა!

— ასე არ ვთვლი. ჩემთვის ვნება კარგი ლექსის დაწერაა და წარმოუდგენელია, ყველასთან, ვინც მომეწონება და ეს მოწონება ლექსს დამაწერინებს, ვნება დავიკმაყოფილო. ეს ამორალიზმია, მაგრამ თუ ვინმე მომეწონა და ლექსი დავწერე, ეს უკვე ნიშნავს, რომ ამის თქმა შევბედე. ეს საზოგადოებამ შეიძლება ვერ მიიღოს ან მიიღოს, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ: შემოქმედად დავიბადე, მაგრამ სასულიერო პირი გავხდი და ეს ჩემი თავისუფალი ნება იყო!

— შეიძლება, ამ თავისუფალმა ნებამ ტრანსფორმაცია განიცადოს და სასულიერო პირობაზე უარი თქვა?

— არავითარ შემთხვევაში! სასულიერო პირობაზე უარი შეიძლება მაშინ ვთქვა, თუ მეორე უკიდურეს ნაბიჯს გადავდგამ და წასვლა მონასტერში მომინდება!

— მამა პეტრე, ვერ გავიგე — მონასტერში რომ წახვიდე, მაშინაც ხომ სასულიერო პირი იქნები?

— კი, მაგრამ ერში კი არა, სადღაც ვიქნები. ყოველთვის მაქვს უკმარისობის განცდა, რომ წიგნებს ისე ვერ ვკითხულობ, როგორც უნდა ვკითხულობდე. კითხვის გარეშე კი, მგონია, სუნთქვა და არსებობა წარმოუდგენელია. სადაც უნდა წავიდე, ექვსი შვილი სულის ძაფზე მეყოლება მობმული, მაგრამ ყველას რაღაც ეტაპამდე რომ მივიყვან და ცხოვრების კარს შევუღებ, პასუხის გაცემა საკუთარ თავთან ყველა შეკითხვაზე მომიწევს — რა, რატომ, აქ და ახლა? ამ კითხვებს ყველაზე სწორად და დამაჯერებლად ქრისტე პასუხობს. წარმართ და ქრისტიანობისშემდგომ ფილოსოფოსებთანაც ვმეგობრობ, მაგრამ ყველაზე კარგი ურთიერთობა ქრისტესთან მაქვს!

— ქრისტე შენი მეგობარია?

— ქრისტე ყველას მეგობარია, უბრალოდ, მონები არ უნდა ვიყოთ! ქრისტე და ქრისტიანობა არასწორად გვესმის! თუკი ფეხი გადაგვიბრუნდა, იმას ნუ დავაბრალებთ, რომ ოდესღაც შევცოდე და ახლა სამაგიერო მომეზღო. ასე არაა — ქრისტე არავის სჯის, პირიქით, ცდილობს, ნებისმიერი ადამიანი გადაარჩინოს და სიყვარული დაუმტკიცოს!

— კაბა რომ ჩაიცვი, რამდენი წლის იყავი?

— 26-ის ვხდებოდი, ახლა 35 წლის ვარ...

— სასულიერო პირი იმიტომ ხომ არ გახდი, რომ რაღაცას გაექეცი და ეკლესიას თავი შეაფარე?

— პირიქით...

— როგორი იყო პეტრე კვარაცხელია საერო ცხოვრებაში?

— ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ძალიან აქტიური ვიყავი — ვასწავლიდი, ვრეპეტიტორობდი, ტელევიზიაში ჟურნალისტად ვმუშაობდი, პერიოდულ გამოცემებში ლექსებსა და წერილებს ვაქვეყნებდი, პოეზიის საღამოებს ვმართავდი.

— აღვირახსნილიც ხომ არ იყავი?

— არასოდეს... მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შემოქმედებას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ურთიერთობაც ბევრ ადამიანთან მქონდა, თავისთვის უფლება არასოდეს მიმიცია, არასწორად მეცხოვრა და ეს იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა, ღმერთი დამსჯის-მეთქი. ღმერთი არავის სჯის! ყველა თავს თავისი ცხოვრების წესით ისჯის! უბრალოდ, მქონდა განცდა, რომ თუკი არასწორად, აღვირახსნილი ცხოვრებით ვიცხოვრებდი და ისეთ რაღაცებს გავაკეთებდი, რაც შინაგანი ზნეობისთვის მიუღებელია, ვერ დავწერდი. მერჩივნა, ფიზიკურად კი არა, ლექსით „მემრუშა“.

— როგორც წეღან მითხარი, ფიქრით ანუ ლექსით მრუშობაც მრუშობაა?

— ცუდსა და უარესს შორის ყოველთვის ცუდს ვირჩევ. თავს აზროვნებას არასოდეს ვუზღუდავ. ძალიან ბევრია, ვინც თავს ფიქრს, საკუთარი თავის გაცნობას უკრძალავს იმიტომ, რომ ეშინია, ვაიდა, შიგნით ისეთი რამ არ დაინახოს, რისიც შეეშინდება და იმედი გაუცრუვდება, რაც შეიძლება, ფატალურად დამთავრდეს!

— ასეთი ადამიანი ხომ ცოდოა?

— რა თქმა უნდა!

— სიმბოლურია: ამას წინათ, პატარა ნოველა დავწერე, რომელსაც ასე ვამთავრებ, ფიქრსა და მარტოობას გაუმარჯოს-მეთქი... მამა პეტრე, რა უფრო დიდი ცოდვაა: იყო მკვლელი თუ, ვთქვათ, უმცირესობის წარმომადგენელი?

— შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ცოდვის აწონ-დაწონა ადამიანს არ შეუძლია. იმაზე უნდა ვიფიქროთ, რატომ მივიდა ადამიანი ამ გადაწყვეტილებამდე და რამდენად მძიმეა ჯვარი, რომელიც დაეკისრა. ორივე ცოდვაა, მაგრამ ცხონებისა და იმის საშუალება, რომ ღმერთს არ განუდგეს, ორივე ადამიანს აქვს ანუ ორივე შემთხვევაში, ადამიანი უძღები შვილია, რომელიც მამის წიაღს გაურბის. იცი, რა მახსენდება? — აკაკი წერეთლის „ღამურა“, ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობაო... როცა ადამიანი საკუთარ თავს უარყოფს, საკუთარი ტყავიდან გამოდის და უნდა, ის გახდეს, ვისაც ქვეცნობიერად ელტვის, საზოგადოებასთან კარგი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, არასოდეს ექნება, ორმაგი სტანდარტებით იცხოვრებს და ამ მდგომარეობაში ყოფნა მობეზრდება...

— ყველაფერი მესმის, მაგრამ მოდი, ღიად ვთქვათ, რომ მკვლელებს, ცალკეულ შემთხვევებს თუ არ გავითვალისწინებთ, ტაბურეტებით არ დავდევთ! ოდესმე პეტრე კოლხი ტაბურეტით „შეიარაღდება“?

— პეტრე კოლხი ქვებითა და ხელკეტით არავის წინააღმდეგ გაილაშქრებს! ჩემი იარაღი რწმენა და ინტელექტია! პატივი რომ ამყარონ, შეურაცხყოფა რომ მომაყენონ და ცილიც დამწამონ, იმას, რაც მხოლოდ ღმერთმა მომცა, ვერასოდეს წამართმევენ!

— მაშინაც ვერ წაგართმევენ, რომ განგკვეთონ?

— რა თქმა უნდა, ვერა! ღმერთთან შინაგან კავშირს არასოდეს დავკარგავ! მღვდლობა ჩემთვის ცხონების გარანტია არასოდეს ყოფილა!

— აბა, მღვდელი რატომ გახდი?

— იმიტომ, რომ ღმერთთან თავს კომფორტულად ვგრძნობ! სირთულეებისა და ქარტეხილების მიუხედავად, მღვდლობა ძალიან საინტერესოა. საერთოდ, სირთულეები მიყვარს, რადგან მის გარეშე პიროვნების ფორმირება ვერ წარმომიდგენია!

— ყველაფერ იმის გამო, რასაც მეუბნები, ეკლესიის შიგნით პრობლემები არ გაქვს?

— თამამად გეტყვი: იმას, რასაც ვამბობ, ზოგიერთისგან განსხვავებით, პოპულისტობისთვის არ ვაკეთებ!

— ზოგიერთში სასულიერო პირს გულისხმობ?

— დიახ... მეტიც, ეკლესიიდან, როგორც ორგანიზაციიდან და არა როგორც ქრისტეს მისტიური სხეულიდან წასვლაზე უარი რომ არ ვთქვა, უფრო მეტს ვიტყოდი, უფრო თამამად დავწერდი და უფრო გულწრფელი ვიქნებოდი, მაგრამ როცა ამ ორგანიზმის წევრი ხარ, ეს გბოჭავს და გაკავებს.

— საუბარი საითკენ მიგყავს?

— პირველ რიგში, გული ერსა თუ ბერში დაგროვილ ცოდვებზე კი არა, იმაზე მწყდება, რომ მავანნი ჭკუას გასწავლიან და შენი მდინარის კალაპოტს გიწუნებენ, თვითონ კი სული ჭაობში აქვთ დამყაყებული!

— ისევ სასულიერო პირებს გულისხმობ?

— დიახ...

— მამა პეტრე, ე.წ. თამამ ადგილებში, მაგალითად, კაფეში დადიხარ. სოციალურ ქსელში არც თამამი ფოტოსურათების გამოქვეყნებას ერიდები. ეს ხომ ერთგვარი გამოწვევაა?

— არა, მე შინაგანი სახე ვარ!

— ვისი?

— ისინი, რასაც დაფარულში აკეთებენ, მე ცხადში ვაკეთებ!

— კი ბატონო, მაგრამ ე.წ. კარის პრინციპი ხომ არსებობს — იმას, რასაც აკეთებ, საჯაროს რატომ ხდი?

— ზღვის სანაპირო დახურული რატომ უნდა იყოს, როცა 6 შვილი მყავს და აქამდე ერთსაც არ აქვს გადაწყვეტილი, რომ სასულიერო პირი უნდა გახდეს. ეს ჩემი არჩევანის თავისუფალი ნება იყო. ჩემი შვილების არჩევანის თავისუფალი ნების შეზღუდვის უფლება კი არავის აქვს: არც მე და, მით უმეტეს, არც სხვას!

— ზოგი მოძღვარი ქადაგებს, რომ მაგალითად, ქალმა სუნამო არ უნდა გამიყენოს და ზღვაში საცურაო კოსტიუმით არ შევიდეს. შარშან, თუ გახსოვს, ბათუმისა თუ ქობულეთის პლაჟზე ჯვარიც აღმართეს... ისევ გაუნათლებლობასთან მივდივართ?

— ეს გაუნათლებლობისა და სარწმუნოების არასწორი გაგების ბრალია! ქრისტე მაცხოვარს მოციქულები და მენელსაცხებლეები ნელსაცხებელს ცხებდნენ და ეს ერთგვარი სურნელება იყო. გამოდის, ქრისტეს უნდა დავუპირისპირდეთ. არ ვამბობ, რომ ქრისტეს „შანელი“ ესხა, მაგრამ იმხანად, ის კეთილსურნელება, რასაც „ნარდი“ ერქვა, „შანელზე“ ნაკლები არ ყოფილა — „ნარდი“ ერთ-ერთი ძვირადღირებული ნელსაცხებელი იყო და ამით ქრისტესადმი თაყვანისცემას, პატივისცემას გამოხატავდნენ. მირჩევია, რომელიმე სასულიერო პირს „შანელის“ სურნელი ასდიოდეს, ვიდრე ოფლის და ამით ადამიანები არ დააფრთხოს!

— ისე, როგორც მახსოვს, ერთხელ, პატრიარქმა დაბანისა და სისუფთავის აუცილებლობაზე იქადაგა...

— დიახ და როცა აქცენტს ასეთ პრიმიტიულ ქადაგებებზე ვაკეთებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სარწმუნოების ანბანი ვერ გაგვიგია, უმაღლეს თეოლოგიაზე აღარაა ლაპარაკი. ერთმანეთისთვის იმის შეხსენება არ უნდა გვჭირდებოდეს, რომ უნდა დავიბანოთ და სუნით ვინმე არ შევაწუხოთ!

— მართალია, შენი მხრიდან პოლიტიკური განცხადება არასოდეს მომისმენია მაგრამ მაინც გკითხავ: ზოგი ამბობს, ეკლესიაზე რუსეთის გავლენა დიდიაო... ეს გიგრძნია?

— ჩემზე ვერანაირი გავლენა ვერ იმოქმედებს და ცილს ვერავის დავწამებ — მცდელობაც არ ყოფილა. როცა პიროვნება ჩამოყალიბებულია და მისთვის იდეალები და ფასეულობები არსებობს, ვერავინ შეეხება, მაგრამ თუ რყევა შეგამჩნიეს, ნებისმიერი ადამიანი, შეიძლება, სამართავი მანქანა გახდეს.

— მამა პეტრეზე კომპრომატები არსებობს?

— კომპრომატები მხოლოდ ჩვენი ეპოქის ტრაგედია არაა. კათოლიკურ სივრცეში ამაზე უარესი ხდებოდა და დღემდე ასეა იმიტომ, რომ ეკლესია ქვეყნის ნაწილია და სასულიერო პირებიც ქვეყნის შვილები არიან. გარდა იმისა, რომ ვთქვათ, მამა პეტრე კაფეში შევიდა და ყავა დალია, სხვა კომპრომატს ვერ მომინახავენ! როცა აქცენტს ამაზე აკეთებ, ვთვლი, რომ იაფფასიანი პოლიტიკოსი ხარ და შენი მიდგომებიც პრიმიტიული და მარტივია, რადგან ქრისტე, ზომიერების ფარგლებში, სუნთქვასა და არსებობას არ გვიკრძალავს!

— რითი ცხოვრობ, 6 შვილს როგორ ინახავ?

— (ღიმება) ტაძრიდან ყველაზე ნაკლები შემოსავალი მაქვს და, მიუხედავად იმისა, რომ 6 შვილი მყავს, არასოდეს მიწუწუნია — წუწუნი არ მიყვარს და ვცდილობ, შემოსავალი ჩემი ინტელექტუალური შრომით მქონდეს...

— ჩვენს ქვეყანაში ინტელექტუალური შრომა მაინცდამაინც არ ფასობს!

— ბოლომდე ვერ დაგეთანხმები — ორგან ლექციებს ვკითხულობ, გაკვეთილებს ვატარებ, წიგნების გამოცემაშიც აქტიურად ვარ ჩაბმული... ყველაზე მაგარი არ ვარ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა, რომ საზოგადოებას ჩემი პოეზია ძალიან მოსწონს — ერთ პრეზენტაციაზე შეიძლება, 300 წიგნი გაიყიდოს და საკმაოდ სოლიდური შემოსავალი დამრჩეს.

— ...შური და კონკურენცია სასულიერო პირებს შორისაც არსებობს?

— არც ვმალავ და არც უარვყოფ, რომ ძალიან დიდი შური არსებობს, მაგრამ სწორედ ეს მაძლიერებს და დიდი გეგმებიც მაქვს. შეიძლება, ყველაფრის გარეშე დამტოვონ, მაგრამ იმას, რაც ჩემშია და ღირებულია, არ ვიცი, თუ ტყვიას მესვრიან, თორემ სხვანაირად ვერ წამართმევენ!

— პატრიარქის თანადგომას გრძნობ?

— ის, რომ დღეს მამა პეტრე ფეხზე დგას, თუნდაც დაჭრილი და ქვებნასროლი, მისი უწმინდესობის დამსახურებაა!

— ქვა ვინ გესროლა?

— (დუმილი) ალბათ, იცი და დაკონკრეტება არ მინდა. მადლობა მათ, ძალიან დიდ ძალასა და ენერგიას მაძლევენ! არ ვიცი, რამდენად ნუგეში იქნება, მაგრამ მათ, ვინც ყოველთვის კრიტიკის თვალით მიყურებს, ძალიან ბევრ სიურპრიზს ვპირდები!

— სასულიერო პირი რომ არ იყო, პოლიტიკაში წახვიდოდი?

— ჩემთვის რელიგიაც და პოეზიაც პოლიტიკაა!.. ისე, ზუსტად ვიცი, რომ ძალიან მაგარი ელჩი და რეიტინგული შემეცნებითი გადაცემის წამყვანი ვიქნებოდი!

— შეგიძლია, გადაცემა ახლაც წაიყვანო...

— ვაპირებ, რადგან ჩემი სამღვდელო მოღვაწეობით, არ შემიძლია, ოჯახი ვარჩინო. როგორც აღმოჩნდა, არც საპატრიარქოს აქვს იმის „რესურსი“, მრავალშვილიან ოჯახებს დაეხმაროს.. თუ ვიღაც ეპისკოპოსს შვილი უცხოეთში სწავლობს, მამა პეტრეს შვილმა და ქართულ ეკლესიაში უამრავი მამა პეტრეა, აქ, თუნდაც კერძო სკოლაში, რატომ არ უნდა ისწავლოს? არ ვთვლი, რომ სასულიერო პირი სიღარიბეში უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ეს სიღარიბე ეკლესიის სულიერი სიღარიბითაა გამოწვეული...

— შეგიძლია, შენც, როგორც მოძღვარმა, ფული იშოვო?

— ეკლესიაში ფულის შოვნა ძალიან მარტივია, მაგრამ სასულიერო პირი ორიენტირებული ამაზე არ უნდა იყოს! ჩემი ყველაზე დიდი კაპიტალი ჩემი სულიერი შვილები არიან, რომლებიც არაორდინალური აზროვნებით, ხედვითა და მიზნებით გამოირჩევიან. ისინი ეკლესიაში იმიტომ არიან, რომ მამა პეტრე ყველა კითხვაზე გულწრფელად პასუხობს და ქრისტეთი დაინტერესდნენ. ჩემი მრევლის უმეტესობა მწერალი, პოეტია ანუ შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ჩემი მრევლი საყველპურო სამარხვო მრევლი არაა, ის სამყაროს აბსურდულობის იდეითაა შეპყრობილი!

— ანუ, შერეკილები არიან! მაგარია!

— გიჟები! როცა ვამბობ, რომ გიჟი ვარ, ზოგიერთ ერთუჯრედიანს ეს არანორმალური მდგომარეობა ჰგონია, ჩემთვის კი, არანორმალური მდგომარეობა თვითონ ისაა! არანორმალური ადამიანების კალაპოტში ჩასმა ბევრად რთულია, მაგრამ საინტერესო, ვიდრე იმ ადამიანებისა, ვისაც ვერ გაურკვევია, რატომ, მაგრამ ოთხშაბათსა და პარასკევს მაინც მარხულობს!

— ეს ხომ მონობაა?

— რა თქმა უნდა. მე კი არ მინდა, ვინმეს მონა ვიყო ან მონა მყავდეს! ისე, ქრისტემ თავისი მოსვლით ძველ აღთქმაში ყველაფერი შეცვალა და საფუძველი ახალ აღთქმას ჩაუყარა! ამით ყველაფერი ნათქვამია!

საბერძნეთის კრიზისი ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას ხელს შეუშლის?!

თემურ ბასილიას ამერიკული შეფასებები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

251 ხმით 32-ის წინააღმდეგ, საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ალექსის ციპრასის მიერ წარდგენილ რეფორმების პროექტს, რომელიც მორიგი ფინანსური დახმარების მიღებას ისახავს მიზნად. ევროჯგუფისთვის წარდგენილი ანტიკრიზისული პროგრამა იმ 5 პუნქტსაც შეიცავს, რასაც მოსახლეობამ რეფერენდუმზე მხარი არ დაუჭირა. ახალი პროგრამით, ხელისუფლებამ საპენსიო რეფორმები უნდა განახორციელოს, კერძო სექტორისთვის გადასახადები გაზარდოს და ქვეყნის ბიუჯეტი 12 მილიარდი ევროთი შეამციროს. რეფორმების სანაცვლოდ, საბერძნეთის მთავრობა ევროპისგან რიგით მესამე ფინანსურ დახმარებას ელის — მმართველი პარტია დამატებით 53 მილიარდ ევროს ითხოვს. რა გავლენას მოახდენს საბერძნეთის კრიზისი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე და რა ეკონომიკური ბერკეტი არსებობს საბერძნეთის კრიზისის დასაძლევად? „ვერსია“ ეკონომიკის ექსპერტ თემურ ბასილიას აშშ-ში დაუკავშირდა.

— პირველ რიგში, ეს თვითონ ბრიუსელის პრობლემა იქნება, რადგან ევროგაერთიანებაში დამატებითი ქვეყნების მიღება სერიოზულ ტვირთად დააწვება. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ — საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას გულისხმობთ თუ ევროპასთან დაახლოებას. საქართველოსა და ევროპას შორის სამეზობლო ხელშეკრულების მიმართულებით პრობლემა არ იქნება და ეს პროცესი ჩვეულებრივ გაგრძელდება, რადგან ეს დოკუმენტი საქართველოს ევროკავშირის წევრობას არ ითვალისწინებს. რამდენიმე ქვეყნის — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და პოლონეთის გარდა, რომლებიც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას გაწევრიანებას უჭერენ მხარს, მაგალითად, გერმანია-საფრანგეთი, საბერძნეთის კრიზისის გარეშეც, სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, თუმცა ეს კრიზისი უფრო დააფიქრებთ, რადგან ახალი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების სახით, დამატებითი ტვირთის აღება არ ენდომებათ. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე კი საბერძნეთში განვითარებული მოვლენები ნეგატიურად აისახება.

— საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო ხელშეკრულება ახსენეთ, რომლის თანმდევი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაცაა. საბერძნეთის კრიზისი ამ პროცესსაც შეუშლის ხელს?

— არსებულ ხელშეკრულებებზე საბერძნეთის კრიზისი გავლენას ვერ მოახდენს. საქართველოსთან ევროპის სამეზობლო ხელშეკრულება გაგრძელდება ანუ ეკონომიკაც იქნება და ვიზალიბერალიზაციის პროგრამაც.

— ევროპასთან მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობებით უნდა შემოვიფარგლოთ?

— რა თქმა უნდა, არა! არსებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები ყოვლისმომცველია და მხოლოდ ეკონომიკას არ ეხება, პოლიტიკასაც მოიცავს, მათ შორის, ქვეყანაში რეფორმირების პროცესს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური სისტემის სრულყოფას. არსებული შეთანხმებების საფუძველზე, საქართველომ სრული სვლა უნდა გააგრძელოს და საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნები უნდა დაარწმუნოს, ევროპული ოჯახის ღირსეული წევრია, რომელსაც ჯანსაღი ეკონომიკა და სამართლებრივი სახელმწიფო ექნება. საქართველო ევროკავშირში პრობლემებს კი არ მიიტანს, პირიქით, ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

— ბატონო თემურ, სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი ხართ და შეამჩნევდით, რომ საბერძნეთის კრიზისის გამო საქართველოში ცალკეულ ჯგუფებს ევროკავშირის მიმართ ნიჰილისტური განწყობა გაუჩნდათ. საბერძნეთის რეფერენდუმის შედეგი ამ განწყობას ხომ არ გააძლიერებს?

— ევროპას რატომღაც ერთიან სივრცედ აღვიქვამთ, სადაც ყველა ერთნაირად აზროვნებს, განსხვავებული მოსაზრება კი დათრგუნულია. სოციალურ ქსელში და ზოგადად, ქართულ საინფორმაციო საშუალებებში, საბერძნეთის მოვლენების განხილვას რომ ვუყურებდი, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. ამ დროს, აშშ-სა და ევროგაერთიანების ქვეყნებში პლურალისტური საზოგადოებაა. როდესაც საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი ბრიუსელში ჩავიდა, უარყოფითად განწყობილი მემარჯვენეებიც დახვდნენ, მაგრამ დიდი ოვაციები მოუწყვეს მემარცხენე-სოციალისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ევროგაერთიანებაში მძლავრად არიან წარმოდგენილნი. ჩემი მეგობრებისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ არ არსებობს ქართული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ვაშინგტონში ჩავა და საკუთარ თანამოაზრეებს ვერ ნახავს...

— როგორი რადიკალური შეხედულებებიც უნდა ჰქონდეს?

— დიახ. ნაციონალური მოძრაობისა და საა კაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა პარტია ევროპის სახალხო პარტიის ნაწილი გამხდარიყო და შედეგად, სახალხო პარტია „თანაპარტიელებს“ იცავს, ევროგაერთიანების უდიდესი მემარცხენე ფლანგი საერთოდ მოშიშვლებულია. საა კაშვილის გარდა, რესპუბლიკური პარტია და ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ აქტიურად თანამშრომლობენ ლიბერალურ ინტერნაციონალთან. თუ საქართველო დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას აპირებს, უნდა შეეჩვიოს, რომ პლურალიზმი ანუ სხვადასხვა მოსაზრება და ზოგადად, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა იდეა იარსებებს.

— საბერძნეთის კრიზისიდან, რეფერენდუმის შედეგებიდან და ციპრასის პრინციპული პოზიციებიდან გამომდინარე, საქართველოში არსებული ის ძალები, რომლებიც საბერძნეთის პრემიერის პოლიტიკის მხარდამჭერები არიან, სოციალურ ქსელში ევროკავშირის მოწინააღმდეგეებად და პრორუსებად აღიქმებიან...

— უკაცრავად, მაგრამ თუ სოციალურ ქსელსა და საზოგადოებაში ასეთი რეაქციაა, სწორედ ეს არის ბრძოლა განსხვავებული აზრის წინააღმდეგ! ასეთი რამ მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხდება და არა დემოკრატიულ საზოგადოებაში! განსხვავებული აზრის მიმართ ასეთი ხისტი პოზიცია იმას ნიშნავს, რომ სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერ მზად არაა, რეალური დემოკრატიული სახელმწიფო ჩამოყალიბდეს. შეიძლება, ციპრასი მოგწონდეს ან არა, მაგრამ მისი პარტია და ეს პიროვნება ბერძენმა ხალხმა მმართველად აირჩია და ნდობა გამოუცხადა, რაც რეფერენდუმზე კიდევ ერთხელ დაუდასტურა. ვის აქვს უფლება, შეურაცხმყოფელი იარლიყები მიაწებოს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს?

— თქვენი აზრით, როგორ დაუგროვდა საბერძნეთს 350 მილიარდი ევრო დავალიანება, როგორ დაუშვა ეს ევროკავშირმა და არის თუ არა ამხელა დავალიანება, როგორც საბერძნეთის, ასევე ევროკავშირის არასწორი პოლიტიკის შედეგი?

— რამდენჯერმე წავიკითხე, თითქოს ამ კრიზისში საბერძნეთის დღევანდელი ხელისუფლებაა დამნაშავე, რაც, რბილად რომ ვთქვა, არაპროფესიონალური და სამარცხვინო შეფასებაა. მთავრობა, რომელიც ორიოდ თვის წინ მოვიდა, არ შეიძლება, იმ არასწორი პოლიტიკის გამო, რაც ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა, დამნაშავე იყოს. საბერძნეთში აუცილებელი და მნიშვნელოვანი სტრუქტურული წლებია არ განხორციელებულა. პრობლემა გაცილებით ღრმაა, რომელშიც საბერძნეთიც დამნაშავეა და ევროკავშირიც. ქვეყანაში არ ტარდებოდა საგადასახადო აღრიცხვა, კონტროლი, ხშირი იყო ორმაგი ბუღალტერიის ფაქტები, მოსახლეობა გადასახადებს არ იხდიდა... ბევრი პრობლემა დაგროვდა, რასაც მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია და პრობლემის მოგვარების ნაცვლად, ბერძნებმა უზარმაზარი ფინანსური რესურსი მიიღეს, რის გამოც ვალები დაგროვდა. როდესაც ქვეყანას უგროვდება ვალი, რომლის ოდენობა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს მიაღწევს, ეს უკვე განგაშის საგანი უნდა გახდეს, რაც არ მომხდარა. განგაშის ზარი არც საბერძნეთის მაშინდელ ხელისუფლებას შემოუკრავს და არც კრედიტორებს, არადა, ყველამ იცოდა, დიდი ვალი რომ ჰქონდა ქვეყანას, მაგრამ საბერძნეთი დამატებით ვალს ითხოვდა, კრედიტორები კი აძლევდნენ. ამას ერთადერთი ახსნა აქვს: სახელმწიფოსთვის ვალის მიცემა საუკეთესო და უსაფრთხო ბიზნესია.

— ბატონო თემურ, „უსაფრთხო ბიზნესი“ რას ნიშნავს; იმის თქმა გინდათ, რომ საბერძნეთისთვის ვალის გაზრდით, ევროკავშირმაც „იხეირა“?

— ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ქვეყნებს ნაკლებად ვგულისხმობ, მაგრამ ევროკავშირში არსებული ბანკებისთვის ვალის გაცემა შესანიშნავი ბიზნესი აღმოჩნდა. მათ ფინანსური რესურსები უსაფრთხოდ დააბანდეს, თანაც საკმაოდ მაღალი საპროცენტო სარგებლით. ევროგაერთიანების წევრი ქვეყნები — გერმანია და საფრანგეთი პრინციპულად რომ „აწვებოდნენ“ ბერძნებს, სწორედ ამ ქვეყნების ბანკების ზემოქმედების შედეგი იყო.

— ნებისმიერ ვალს გასტუმრება სჭირდება, მაგრამ გადაიხდის თუ არა, საბერძნეთი მაინც დეფოლტის წინაშე აღმოჩნდება. არსებობს რეალური ეკონომიკური მექანიზმი, რომლითაც ქვეყანა ვალის გადახდასაც შეძლებს და ეკონომიკურ კოლაფსსაც აარიდებს თავს?

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ვებგვერდზე, მიმდინარე წლის 26 ივნისს, საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისის შეფასების 22-გვერდიანი დოკუმენტი გამოქვეყნდა. ამ საკმაოდ ნეიტრალურ ეკონომიკურ ანალიზს პოლიტიკური ქვეტექსტი არ აქვს. სსფ-ს დასკვნით, საბერძნეთმა როგორი რეფორმაც უნდა გაატაროს, კრედიტორების ყველა მოთხოვნაც რომ შეასრულოს, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ანუ 2015-2018 წლებში, მაინც რჩება 50 მილიარდი ევროს ფინანსური გარღვევა. სსფ-მ არა მხოლოდ ეს პრობლემა განიხილა, მოგვარების გზებიც დასახა და პირდაპირ მოუწოდა ევროგაერთიანებას, საბერძნეთის პრობლემის მოგვარება გსურს, ქვეყანას ფინანსური გარღვევა მაინც რჩება და ეს 50 მილიარდი ევრო ისევ შენ უნდა გამოყო, თანაც ყველაზე მაღალი შეღავათებითო; მეტიც, სსფ ევროგაერთიანებას სთხოვს, საბერძნეთის არსებულ ვალსაც გადახედოს და მის გასასტუმრებლად, გაცილებით უკეთესი პირობები შეიმუშაოს.

— გამოდის, საბერძნეთის გადარჩენის რეალური გზა არსებობს?

— დიახ და სსფ-მ ეს დოკუმენტი 26 ივნისს გამოაქვეყნა, ვიდრე საბერძნეთის მთავრობა რეფერენდუმის ჩატარებას ოფიციალურად გამოაცხადებდა. სსფ-ს დასკვნით, პრობლემა ორი მიმართულებით უნდა მოგვარდეს: საბერძნეთში სერიოზული ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები უნდა გატარდეს. ბევრი არსებული შეღავათი უნდა გაუქმდეს, რადგან ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში ასეთი შეღავათები არ მოქმედებს, საქართველოშიც კი არ არის ასეთი შეღავათები, რომელიც ევროკავშირის წევრი არ გახლავთ. შესაბამისად, სტრუქტურული რეფორმა, განსაკუთრებით საბიუჯეტო სფეროში, გასატარებელია. მაგალითად, ერთ-ერთი შეღავათის მიხედვით, თუ გაუთხოვარ ან თუნდაც ქვრივ ქალს მშობელი გარდაეცვალა, დედის ან მამის პენსიას იღებს. ხომ მეთანხმებით, რომ ეს არასწორია? სსფ-ს დასკვნის მეორე მიმართულებით, ფონდი ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებსა და კრედიტორებს მოუწოდებს, რეალისტურად შეაფასონ საბერძნეთის დღევანდელი მდგომარეობა. თუ ქვეყნის ხელისუფლება აიღებს ვალდებულებას, სერიოზული ეკონომიკური რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები შესთავაზოს, კრედიტორები დათმობაზე უნდა წავიდნენ — არსებული დავალიანების რესტრუქტურიზაცია განახორციელონ. როგორც გითხარით, საბერძნეთმა ვალი რომც გადაიხადოს, მაინც რჩება ფინანსური გარღვევა და სსფ ითხოვს, კრედიტორებმა დამატებითი ფინანსური რესურსი გამოყონ. საკმაოდ რეალისტურად ვარ განწყობილი და როგორც კი საბერძნეთის მთავრობა ქვეყნის გადარჩენის საიმედო ეკონომიკურ დოკუმენტს მოამზადებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და კრედიტორები კომპრომისზე წავლენ, რადგან არავის ინტერესში არაა საბერძნეთის გაძევება ევროგაერთიანებიდან ან ევროზონიდან და ამის მექანიზმი არც არსებობს... საბერძნეთმა თვითონ უნდა თქვას უარი, მაგრამ ციპრასმა ბრიუსელში განაცხადა, რომ ხალხის მანდატი მიიღო, რათა ქვეყანა ამ კრიზისიდან გამოეყვანა და კრედიტორებთან უკეთეს პირობებზე გაეგრძელებინა მოლაპარაკებები, რასაც აკეთებს კიდეც.

— არსებობს თუ არა საფრთხე, საბერძნეთის „სინდრომი“, დომინოს პრინციპით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გადაედოს?

— ეს საბერძნეთის სინდრომი არაა — რამდენიმე წლის წინ, ანალოგიურ მდგომარეობაში ესპანეთი და ირლანდიაც იყვნენ. მართალია, ისლანდია ევროკავშირის წევრი არ არის, მაგრამ წლების წინ, კრიზისში ისიც აღმოჩნდა. ყველამ დაძლია პრობლემა და დღეს საბერძნეთმაც იგივე უნდა გააკეთოს. სამომავლოდ, ყველა ქვეყანამ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ჩამოაყალიბოს და ფინანსურ ხარჯებს გადახედოს, საბიუჯეტო დეფიციტი არ უნდა არსებობდეს, პირიქით, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, დეფიციტი უნდა შემცირდეს. ქვეყანამ მხოლოდ ისეთი საგარეო ვალი უნდა აიღოს, რომელიც ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება, დამატებითი სამუშაო ადგილები, პროდუქტი შეიქმნება და ვალის გადახდა არ გაუჭირდება.

ვერსიანიუსი

ზესტაფონის სასამართლოში „იდენტობის“ იურისტი და მანდატური სცემეს

შემთხვევა 12 ივლისს მოხდა. „იდენტობის“ წევრების ინფორმაციით, „იდენტობის“ წარმომადგენელი ოჯახური ძალადობის მსხვერპლს იცავს — 21 წლის ქალს მეუღლისთვის მეურვეობის ჩამორთმევა სურს, რადგან მისი განცხადებით, ის ძალადობის მსხვერპლია.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მამაკაცმა დაზარალებულის ადვოკატი, რომელიც „იდენტობის“ იურისტია, სცემა. არსებული ინფორმაციით, ის ასევე ფიზიკურად გაუსწორდა სასამართლოს მანდატურს.

პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებული მხარის წარმომადგენელი შეუძლოდ გახდა.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებს უფასო ტრენინგებს უტარებენ

კოოპერატივების მეპაიეებს საგადასახადო კანონმდებლობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში დაეხმარებიან

„სასოფლო-სამეურნეო დარგში, კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, კოოპერატივების მენეჯმენტისთვის, საგადასახადო და ფინანსურ საკითხებში ტრენინგები დაიწყო. მსმენელები ისეთ საკითხებს შეისწავლიან, რასაც საგადასახადო კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ავალდებულებს. საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ყველა რეგიონის წინასწარ შერჩეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდება, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს ტრენერები ჩაატარებენ. ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით ტარდება, რომლის მიზნებზე, „ვერსიას“ სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი მიშელაძე ესაუბრება.

— ბატონო გიორგი, კონკრეტულად რა მიზნით ტარდება ტრენინგები კოოპერატივების წევრებისთვის?

— სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, თავიდანვე განვაცხადეთ, რომ კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას აღმოვუჩენდით, არამედ მეპაიეებისა და მენეჯმენტის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტექნიკური დახმარების (ინფორმაციის გაცვლა, რეკომენდაციის გაცემა, ტრენინგი, — ავტ.) პროგრამებსაც განვახორციელებდით. პირველივე ტრენინგპროგრამა ისე განვსაზღვრეთ, რომ კოოპერატივების მენეჯმენტმა კვალიფიკაცია საგადასახადო კანონმდებლობაში აიმაღლოს. ამ ტრენინგზე სხვადასხვა კოოპერატივის 387 მეპაიე დარეგისტრირდა, რომლებიც ფინანსურ მიმართულებას ანუ ბუღალტერიას კურირებენ, მაგრამ თუ რომელიმე კოოპერატივს ბუღალტერი არ ჰყავს, მაშინ ტრენინგს გამგეობის თავმჯდომარეები გაივლიან. უშუალოდ კოოპერატივების გადასაწყვეტია, მეპაიე ჩაერთვება ტრენინგში, გამგეობის თავმჯდომარე თუ წევრი, რადგან კოოპერატივები თვითონ ირჩევენ წევრს, რომელიც საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებას. საგადასახადო ტრენინგები ორდღიანია და 10 ივლისიდან, ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო, საქართველოს 30-მდე მუნიციპალიტეტში ჩატარდება და სექტემბერში დასრულდება. როგორც ხედავთ, საგადასახადო ტრენინგების სრული ციკლი განხორციელდება და მთელ საქართველოს მოიცავს.

— კოოპერატივების წევრებს (მეპაიეებს) ტრენინგებს მხოლოდ საგადასახადო მიმართულებით უტარებთ?

— არა, ჩვენ კონკრეტული დარგების განვითარებასა და კოოპერატივებში ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზეც ვზრუნავთ. მაგალითად, მებოსტნეობა-მებაღეობის დარგში მომუშავე კოოპერატივებისთვის, ტრენინგზე დასასწრები რეგისტრაცია უკვე დასრულდა. ეს ტრენინგი ორშაბათს, 13 ივლისს, ბაზალეთზე დაიწყება, სადაც ამ დარგის კოოპერატივების წარმომადგენლები კვალიფიკაციას აიმაღლებენ. მებოსტნეობა-მებაღეობის დარგში, ტრენინგებს, ჩვენთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფს. ეს 12-დღიანი, საკმაოდ მოცულობითი ტრენინგი იქნება, სადაც კოოპერატივების წარმომადგენლები სიღრმისეულ ცოდნას მიიღებენ. ტრენინგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და შპს „ჰუნანის“ სოფლის მეურნეობის ჯგუფის ერთობლივი მასშტაბური პროექტის „სასათბურე ბოსტნეულის წარმოება“ ფარგლებში ხორციელდება.

რეგისტრაცია უკვე დაიწყო მეფუტკრეობის დარგში ჩართული კოოპერატივების მეპაიეთათვისაც. თუ საგადასახადო მიმართულებით ვითხოვდით, ტრენინგებზე კოოპერატივის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დარეგისტრირებულიყო, მეფუტკრეობის დარგში ასეთი შეზღუდვა არ არის. მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებაა, სადაც საქმიანობის პროცესში, კოოპერატივის ყველა მეპაიეა ჩართული, ამიტომ ვთვლით, რომ მათთვის საინტერესო და საჭიროა ამ ტიპის ტრენინგი. შესაბამისად, სწორედ მათი გადასაწყვეტია, რამდენი მეპაიე მიიღებს მონაწილეობას მეფუტკრეობის დარგის ტრენინგში. ამ მიმართულების ტრენინგებზე რეგისტრაცია 18 ივლისს დასრულდება და ამის შემდეგ, რაიონებისა და რეგიონების მიხედვით, გავწერთ გრაფიკს, თუ სად და როდის გაიმართება ტრენინგები.

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული თხილის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საშრობსა და სასაწყობე მეურნეობას მოვაწყობთ, რომლებსაც ამ პროგრამაში ჩართულ კოოპერატივს გადავცემთ. სახელმწიფო პროგრამა ამ მიმართულების კოოპერატივების მეპაიეებისა და წევრების ტექნიკურ დახმარებასაც გულისხმობს. ტექნიკური დახმარება მოიცავს, როგორც მენეჯმენტის გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე დარგის განვითარებასაც. კონკრეტულად მეთხილეობის მიმართულებით, ეს შეეხება პლანტაციების გაშენებას, კარგი და სწორი ნერგების შერჩევას, მოსავლის მოყვანას, მოვლას, მოწეული თხილის კრეფისა და შენახვის წესებსაც.

ჩვენმა სააგენტომ გამოაცხადა კიდევ ერთი ტრენინგი, რომელიც მესაქონლეობაზე ორიენტირებული კოოპერატივებისთვის ჩატარდება. ამ დარგის კოოპერატივების რეგისტრაციაც 18 ივლისამდე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს ტრენინგებს და ბევრი კოოპერატივი გამოთქვამს მონაწილეობის სურვილს. ყველა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გარკვეულ ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს, ტექნიკური დახმარების კომპონენტებსაც მოიცავს, რაც კონკრეტულ დარგებში, კოოპერატივების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს.

— მებოსტნეობა-მებაღეობის დარგის კოოპერატივების წევრთა ტრენინგებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად ატარებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივების წევრებს ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიებს გააცნობთ?

— რა თქმა უნდა. ამ ტრენინგების ძირითადი თემატიკა ახალი და თანამედროვე ტექნოლოგიებით ბაღის სწორად გაშენებისა და მოსავლის მოყვანის წესების შესწავლა იქნება. ამ ტრენინგზე ჩვენი პარტნიორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში კოოპერატივებს შესაძლებლობას ვაძლევთ, რათა თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგონ მებოსტნეობა-მებაღეობის მიმართულებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი“, ამ ტრენინგებზე მიღებული თანამედროვე ცოდნა, სამომავლოდ, კოოპერატივების წევრებს სწორედ ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად გამოადგება.

მე-3 გვერდიდან

„ხიდაშელი თავისი „სარდლობის“ დიდ ნაწილს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უთმობს!“

— თუ დღესაც ასე ფიქრობთ, მაშინ „ვარდების რევოლუციაში“ ამერიკელების ინტერესი ყველაზე ნაკლებად ყოფილა... რეალურად რა მოხდა?

— სააკაშვილი თავიდანვე რუსების სპეცსამსახურებზე მუშაობდა, კაგებე-ს გენერალი ბიძა, თემურ ალასანია ლობირებდა. თავდაპირველად, მათ მეგობრობას უთვლიდა, ფინანსები და ტექნოლოგიები კი ამერიკული ჰქონდა. ალბათ, გახსოვთ, პარლამენტი რომ დაარბიეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა და გამარჯვება მიტინგზე მოულოცა. მერე მიშას პირველი საგარეო შეხვედრა პუტინთან ჰქონდა. ასე რომ, დასავლურმა ფინანსებმა თავისი გააკეთა. კაგებე-ს აგენტს ერთგულება რომ დაემტკიცებინა, ანტირუსული ისტერია დათესა. შედეგად, ტერიტორიები დავკარგეთ და ქვეყანა გლობალურ დაპირისპირებაში მოექცა.

— შევარდნაძის მთავრობის ბევრი მაღალჩინოსანი არ გაუსამართლებიათ, თქვენ კი ქრთამის აღებისათვის, 17 წელი მოგისაჯეს. რატომ მაინცდამაინც თქვენ?

— სააკაშვილს ჩემგან მონსტრის შექმნა უნდოდა, რომ მერე გავენადგურებინე და ხალხს ტაში დაეკრა, მონსტრი მოგვაშორაო. მისმა პროკურატურამ ყველაფერი გადაქექა, მაგრამ მიშას მოსაწონი რომ ვერაფერი ნახა, უკანონოდ ჩემი ოფიციალური დეკლარაცია გამოაცხადა. იცით, რას მედავებიან? — მანქანას და 11 ათასის ბრუნვას 3 წლის განმავლობაში. პროკურატურაში 386-გვერდიანი მასალა შევიტანეთ, სადაც ჩემს საქმეში მოსყიდულ პროკურორებს 14 მუხლით ედება ბრალი. მათ დამკვეთს სააკაშვილის კი სისხლის სამართლის კოდექსის 11 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ეკისრება პასუხისმგებლობა, რაც ჯამურად, 32-წლიან პატიმრობას გულისხმობს.

— ამბობთ, რომ 2004 წელს, პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ, ბიძათქვენმა თავი მოიკლა. ამის მტკიცებულებები გაქვთ?

— ჩემს ოჯახს რომ რეპრესიები და მუქარა ჰქონდა, არავის ვუსურვებ. 2004 წლის 24 ივნისს, ბიძაჩემი ვალერი გრიგალაშვილის დაკითხვიდან დაბრუნებული, შინ არც შესულა, სიცოცხლეს თავის ავტოფარეხში გამოესალმა. ამაზე პროკურატურას საქმეც არ აღუძრავს და არავინ დაუკითხავს. სისხლი არავის შერჩება და ამას ხანდაზმულობის ვადა არ აქვს!

— წლები დონბასში ცხოვრობდით. იქაურობა რატომ დატოვეთ? თქვენი შემოსავლის წყარო რა არის?

— ჩემი შვილები დონბასში გაიზარდნენ და სკოლა დაამთავრეს. იქედან არ წამოვსულვართ. 11 წლის განმავლობაში, ბევრი რამ გავიარეთ. სიღრმისეულად დავეუფლე სტრატეგიული დაგეგმარების, ანტიკრიზისულ მართვის, პოლიტიკური ტექნოლოგიის და კვანტური-სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებებს. ჩემი ნაშრომები მრავალი საერთაშორისო უნივერსიტეტისა და აკადემიის მიერაა აღიარებული. მონიჭებული მაქვს დოქტორის წოდება. ჩემი მონაწილეობით შემუშავდა დონბასის განვითარების გეგმა და ქვანახშირიდან პიროლიზური გაზის მიღების პროგრამა. საკმაოდ მაღალ ჰონორარს ვიღებდი. ეს მშვენიერი ქვეყანა გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ დანგრევის პირამდე მიიყვანა — ამჟამად დონბასში უმძიმესი მდგომარეობაა. ამ ტერიტორიებზე უკრაინის ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება. ომი და ხალხის ხოცვაა.

— უკრაინის პოლიტიკურ ასპარეზზე სააკაშვილისა და მისი გუნდის გამოჩენას როგორ აფასებთ?

— მიშა უკრაინაში იმ აგენტის ამპლუაშია, რომელიც დასავლეთის დავალებას ასრულებს. უკრაინულ მედიაში ღიად საუბრობენ მიშას ბიზნესზე, იარაღით და ორგანოებით ვაჭრობაზე. მისი ინტერესი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები და მოგების მიღებაა. ოდესის გუბერნატორობაც შემთხვევითი არ არის. თუ უკრაინას დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების ტერიტორიად განვიხილავთ, მაშინ რუსეთთან დაპირისპირების ფონზე, იარაღი იქ ოდესისა და ილიჩოვსკის პორტებიდან შევა. ოდესის ოლქი მოლდოვას, კერძოდ დნესტრისპირეთს ესაზღვრება, რომელიც ახლა თვითაღიარებული რესპუბლიკაა. სააკაშვილი იქ იმიტომაა, ხალხის დასაშოშმინებლად შესაძლოა, რეპრესიების გატარება გახდეს საჭირო და დნესტრისპირეთის ბლოკადა განახორციელოს. პოროშენკოს სურდა, სააკაშვილი კიევიდან მოეშორებინა — მიშა მისი „ჩაშვებით“ იყო დაკავებული. სააკაშვილს ახლა ფსიქო-მოტორული პარანოია აქვს. ახალი ლეგენდის შექმნითაა დაკავებული. უკრაინის მოქალაქეობა და გუბერნატორობა უკვე მიიღო, ამბობენ, რომ გეტმან პოტოცკის ნათესავად გამოაცხადებენ მიხაილოს. ასე რომ, უკრაინაც მალე გაიგებს, რას ნიშნავს „ცოცხების მეთოდი“. საბოლოოდ, სააკაშვილი თავს ციხეში ან საგიჟეთში ამოყოფს. მანამდე კი უკრაინას სისხლსა და ტერიტორიულ პრობლემებს მოუტანს.

— ბატონო ლევან, 2003 წელში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით; არის რამე, რასაც ნანობთ?

— დიდად არაფერს შევცვლიდი. სააკაშვილთან ურთიერთობა გამორიცხული იყო, მაინც გასაწირად გამიმეტებდა. ალბათ, უფრო მეტი უნდა მეზრუნა, ხალხამდე სიმართლე მიმეტანა და სისხლიანი რეჟიმის არსებობა არ დამეშვა.

— ემზარ კვიციანი წლები დევნილი იყო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ციხეში სრულიად გაცნობიერებულად ჩაჯდა, ახლა კი თავისუფალია. იგივე გზა თქვენ რატომ არ გაიარეთ?

— ემზარ კვიციანი საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის დაბრუნდა და არა ციხეში ჩასაჯდომად. მას არც თავდებით გამოშვება აღირსეს და არც შიდა პატიმრობა. ბრალმდებელად სააკაშვილისდროინდელი პროკურორი მიუჩინეს და სასამართლომ 13-წლიანი პატიმრობა ძალაში დატოვა, მაგრამ ხალხის აქტიურობამ აიძულა, ემზარი 11 თვის შემდეგ გაეშვათ — ვადა შეუმცირეს, მაგრამ ბრალდება ძალაში დატოვეს და პოლიტპატიმრის სტატუსი არ მისცეს. ვიღაცის სამაიმუნო არ გავხდები. პროკურატურას ყველა მასალა მივაწოდეთ და უახლოეს პერიოდში თუ რეაგირება არ იქნება, მაშინ პასუხს საზოგადოება მოსთხოვს!

„უსუპოვი და ჟვანია ბინაში შიშვლები იყვნენ... მაპატიოს ზურას სულმა!“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

10 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ყოფილი პრემიერ -მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრების — კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას მიმართ სამსახურეობრივი გულგრილობის საქმეზე პირველი არსებითი განხილვა გაიმართა. 11 საათზე დაგეგმილი სასამართლო სხდომა 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. 14 ნაფიცი მსაჯულიდან ორი არ გამოცხადდა: ერთი ძირითადი და ერთიც სათადარიგო შემადგენლობიდან. ნაფიცი მსაჯულები თავიდან გადანაწილდნენ და ის, ვინც სათადარიგო შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, ძირითადში აღმოჩნდა. მოგვიანებით, ლოტოტრონის პრინციპით მთავარი ნაფიცი მსაჯულიც აირჩიეს, რომელიც შუახნის ქალბატონი აღმოჩნდა. თუ მისი რეაქციით ვიმსჯელებთ, მთავარი ნაფიცის პოზიცია განსაკუთრებით გაუხარდა. მოსამართლე ეკა არეშიძემ დარბაზში მყოფთ განუცხადა, რომ განსახილველი საქმის ნაკლებად მძიმე სპეციფიკიდან გამომდინარე, 2 ნაფიცის სხდომაზე გამოუცხადებლობა პრობლემას არ წარმოადგენდა და შესაძლებელი იყო, მსაჯულების რაოდენობა 6-მდეც შემცირებულიყო.



ბრალდების მხარეს ორი პროკურორი — რეზო ნადიი და ანა სიგუა წარმოადგენენ; დაცვის მხარეს კი, ადვოკატები — ბექა ბასილაია, ტარიელ კიკნაძე, გიორგი გერხაული და გელა ქენქაძე. მიხეილ ძაძამია, ადვოკატებთან ერთად იჯდა, კობა ხარშილაძე — განსასჯელის სკამზე, ორი ბადრაგის გარემოცვაში. ადვოკატები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ხშირად ეკონტაქტებოდნენ ხარშილაძეს და განმარტებებს აძლევდნენ, ხარშილაძისა და ძაძამიას კომუნიკაცია კი თვალშისაცემი არ ყოფილა. მოსამართლის განმარტებით, ბრალდებულებს უფლება ჰქონდათ, შესავალი სიტყვა წარმოეთქვათ და მსაჯულებისთვის მიემართათ. ჩვენებებს შემდეგ სხდომებზეც მისცემენ.

შესავალ სიტყვას პირველი პროკურორი რეზო ნადიი იწყებს და აცხადებს, რომ დაცვის წევრები დამნაშავეები არიან და სასჯელის შესაბამისად უნდა დაისაჯონ: **„ამ პირებმა სამსახურეობრივი უფლებამოსილების უხეში დარღვევითა და სამსახურეობრივი მოვალეობების საწინააღმდეგოდ, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიიყვანეს ოპერატიულად შეუსწავლელ ადგილზე, სადაც დატოვეს ყოველგვარი დაცვის გარეშე, ამას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დაცვის წევრებს პერიოდულად უტარდებოდათ ინსტრუქტაჟი. მინისტრის დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრეც, ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი და ეთქვათ, რომ უარი უნდა განუცხადონ დაცვის ობიექტის ნებისმიერ თხოვნაზე თუ მოთხოვნაზე, დატოვონ ის. ეს არის ვალდებულება. მიხეილ ძაძამიამ და კობა ხარშილაძემ დაარღვიეს კანონით გათვალისწინებული ნორმები და არაჯეროვნად შეასრულეს სამსახურეობრივი მოვალეობა. ვფიქრობ, ეს ადამიანები თავიანთი ბინძური თემებით ცდილობენ თქვენს შეცდომაში შეყვანას. იმედი მაქვს, ეს მხოლოდ მცდელობად დარჩება“.**

ადვოკატმა ბექა ბასილაიამ „ბინძური თემების“ ხსენება მაშინვე გააპროტესტა, თუმცა მოგვიანებით, იმ თემის გარშემო, რომელიც ჟვანიას ცხოვრების პიკანტურ დეტალებს ეხებოდა, საუბარი მაინც დაიწყო. ბასილაიას განცხადებით, სწორედ ეს დეტალები გახდა მიზეზი, რომ დაცვის წევრები იძულებულები გახდნენ, იმ ღამით ჟვანია მარტო დაეტოვებინათ. პირადი ცხოვრების ინტიმურ დეტალებზე საუბრისას, მოსამართლე ეკა არეშიძემ გადაწყვიტა, სხდომა დახურულ ფორმატში გაეგრძელებინა. ასეთ ვითარებაში სხდომა 40 წუთი გაგრძელდა. მოგვიანებით, შესვენება გამოცხადდა.

სხდომის განახლების შემდეგ პროკურორების რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა და დაცვის მხარის ადვოკატების რაოდენობას გაუტოლდა; მანამდე ანუ შესვენებისას „ვერსიამ“ პროკურორ რევაზ ნადიის ჩაწერა სცადა, თუმცა ნადიიმ განმარტა, პროცესის დასრულებამდე კომენტარს არ გავაკეთებო.

დაცვის მხარის ადვოკატმა, ტარიელ კიკნაძემ „ვერსიის“ კითხვაზე, რა გავლენას იქონიებს საქართველოს ყოფილი პრემიერის პირადი ცხოვრების პიკანტურ დეტალებზე განსასჯელების ჩვენება განაჩენზე, უპასუხა, რომ ამ დეტალებზე საუბარი განსასჯელებისთვის ძალიან რთული, მაგრამ გარდაუვალია: **„განსასჯელები 10 წლის მანძილზე დუმდნენ. იმ თემაზე საუბარი, რომელიც შესავალ სიტყვაში დღეს გაჟღერდება, აუცილებელია. განსასჯელებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ამით ისინი დაამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს. დიახ, დღეს იქნება საუბარი იმ თემებზე, რომელიც ყველას გაინტერესებთ. როგორ ფიქრობთ, რომელიმე სხვა ადამიანი უდანაშაულო რომ იყოს და შეეძლოს ამის დამტკიცება, არ დაამტკიცებდა? განსასჯელები არ არიან დამნაშავენი და დარწმუნებული ვარ, ეჭვიც კი არ მეპარება, რომ აუცილებლად გაამართლებენ“.**

განსასჯელის სკამზე მყოფი ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე თითქოს საბრძოლო მოქმედებაშია — ჭრელზოლიანი პერანგი აცვია და დაძაბული უსმენს პროკურორისა და დაცვის მხარის შესავალ სიტყვას. დღეს მნიშვნელოვან დეტალებზე უნდა ისაუბროს და ეტყობა, ღელავს — მთელი პროცესის განმავლობაში ფეხზე დგას და პერიოდულად ფურცელზე შენიშვნებს იწერს.

დაცვის მხარის ადვოკატის, ბექა ბასილაიას თქმით, ხარშილაძესა და ჟვანიას სამსახურეობრივ მოვალეობებზე მეტი აკავშირებდათ. ისინი ერთად წლები მუშაობდნენ და კარგი მეგობრებიც იყვნენ: **„როგორ გგონიათ, რომ არა ზურაბ ჟვანიას უშუალო ნება და პირადი მითითება, კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია ამას თავზე აიღებდნენ და მარტო დატოვებდნენ? ზურაბ ჟვანია, პირველ რიგში, იყო ადამიანი და არა პრემიერ-მინისტრი, თავად კობა ხარშილაძისთვის კი ის ჯერ იყო მეგობარი და შემდეგ პრემიერ-მინისტრი“.**

პროკურორმაც და დაცვის მხარის ადვოკატებმაც შესავლის სიტყვა წარმოთქვეს. დროა, სათქმელი თავად ბრალდებულმა კობა ხარშილაძემ თქვას. მიხეილ ძაძამია საათს დასცქერის და ხელებს თავზე იკიდებს. ხარშილაძე საუბარს 2004 წლის 5 თებერვლის დღის ქრონოლოგიით იწყებს და ამბობს, რომ საუბარი ძალიან უმძიმს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს: **„ოთხის ნახევარი იყო, როდესაც ძაძამიამ დამირეკა და მითხრა, რომ რაღაც წესრიგში არ იყო. გლდანიდან საბურთალოზე გასასვლელად 10-15 წუთი დამჭირდა. სახლში შესვლა ვერ მოვახერხე და გისოსებიდან შევედი. ზურა სავარძელზე იჯდა. ისე მოვიქეცით, როგორც ამ დროს ნებისმიერი ადამიანი მოიქცეოდა. ჩამოვიყვანეთ, პულსი გავუსინჯეთ, ხელოვნური სუნთქვა ჩავუტარეთ, ადგილზე რაიმე ძალადობის ნიშანი არ შეინიშნებოდა. დავიწყეთ სიტუაციის გაანალიზება, ფაქტი იყო ის, რომ ზურა გარდაცვლილი იყო. ძალიან მძიმე სურათი იყო. ზურას არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა, ასეთ სიკვდილს ნამდვილად არ ისურვებდა. 5 წუთის საშუალებაც რომ ჰქონოდა, სურათს აუცილებლად შეცვლიდა. სურათი, რომელიც ჩვენ ვნახეთ ასეთი იყო: უსუპოვი და ჟვანია ბინაში შიშვლები იყვნენ, ჩავცვით, გავწმინდეთ, მოვიქეცით ისე, როგორც ნებისმიერი ადამიანი მოიქცეოდა. შემდეგ უსუპოვი მანქანაში ჩავსვით, თუმცა შემდეგ მივხვდით, რომ აბსურდული იქნებოდა, ზურა უცხო სახლში ასეთ მდგომარეობაში რომ ენახათ და უსუპოვი კვლავ შევიყვანეთ ბინაში. ამ პროცესში დარეკილი მქონდა ბარამიძესთან, შემდეგ დავურეკე პრეზიდენტს. როცა მოვიდნენ სამართალდამცველები, ის სურათი ნახეს, რაც საზოგადოებამ იცის. ჩემი მიზანი არ იყო, საჯაროდ მეთქვა ეს ყველაფერი, მაპატიოს ზურას სულმა“.**

ხარშილაძის განმარტებით, 10 წლის განმავლობაში არც მას და არც მიხეილ ძაძამიას ერთხელაც არ მიუციათ ინტერვიუ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით და მისთვის გაუგებარია, რატომ აბრალებდნენ წლების განმავლობაში ათასგვარ სისულელეს, მათ შორის, ქურდობასაც. ისიც გაუგებარია, რატომ ჩადო პროკურატურამ საქმეში „ჰაკიმ ფაშას“ ვიდეო, რომელმაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა და არ გაითვალისწინა ფედერალური ბიუროს დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ ჟვანია ბუნებრივი აირით გარდაიცვალა.

„ფედერალური ბიუროს დასკვნა მათ საქმეში არ ჩადეს, თუმცა ჩადეს „ჰაკიმ ფაშას“ ტვინნაღრძობი კადრები, რომელმაც კიდევ ერთხელ დაძაბა საზოგადოება. რატომ არ სურდა წინა ხელისუფლებას ამ საქმეზე საუბარი? — ამაზე არსებობს დამაჯერებელი პასუხები. თქვენ არ გექნებათ არც ერთი შეკითხვა, რადგან ყველა კითხვაზე გექნებათ დამაჯერებელი პასუხი. ეს იყო 10 წლის წინ, მაგრამ ამ პერიოდში სცენაზე გამოვიდა დიდი პოლიტიკოსი გოგლა ჟვანია, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდით. მან დაიწყო საუბარი, რომ მისი ძმა მოკლეს, სამი წლის შემდეგ კი იგი პარლამენტში მოვიდა, მაგრამ რა შეიცვალა, ხომ არავინ მეტყვის? ტყუილების ინერცია, ეს არის სიმართლე? შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პროკურატურაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ არიან არაპროფესიონალები და არ გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია, რომ განსაზღვრონ ადამიანის ბრალეულობა. დარწმუნებული ვარ, რომ არა პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ჩვენ არ აღმოვჩნდებოდით ამ ვითარებაში. ჩვენ მოვისმინეთ პროკურორის სიტყვები, სადაც გვერდი აუარა ყველაზე მთავარ მომენტს ამ საქმეში, თუ რით გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია. ამავდროულად, ყურადღება გაამახვილეს აბსოლუტურად სწორად დასმულ მეორე შეკითხვაზე, თუ სად იყო ამ დროს დაცვა. არ შეიძლება ნახევრად სიმართლის თქმა, ამით ადამიანებს სიმართლეს ვერ გააგებინებ“, — განაცხადა ხარშილაძემ.

პროცესის დასრულების შემდეგ, „ვერსია“ პროკურორ რეზო ნადიის კიდევ ერთხელ გაესაუბრა. მისი განმარტებით, ბრალდებულების სიტყვები მისთვის დანაშაულის აღიარებას ნიშნავს: **„ისინი ამბობენ, ჩვენი მოვალეობის საწინააღმდეგოდ მივიყვანეთ ჟვანია იქ და დავტოვეთო. თუ ამბობ იმას, რომ გადაუხვიე წესს, ეს ნიშნავს, რომ თვითონ მიიღე გადაწყვეტილება და შესაძლო შედეგზე შენს თავზე აიღე პასუხისმგებლობა“.**

კობა ხარშილაძის ადვოკატმა, ბექა ბასილაიამ განმარტება ფედერალური ბიუროს დასკვნაზეც გააკეთა: **„ჩვენ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს დასკვნა არსებობს და გასაჯაროებულიცაა „რუსთავი 2“-ის ეთერით. ეს დასკვნა უდევს პროკურატურას და კარგად იცის, რომ მასში პირდაპირაა ის ინფორმაცია, რომელიც კობა ხარჩილაძესა და მიხეილ ძაძამიას გაამართლებს. ეს დასკვნა წერტილს უსვამს იმ მანიპულაციებს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმეში რაღაცაა მომხდარი“.**

ზურაბ ჟვანიას საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 2015 წლის 14 ივლისს, 11 საათზე ჩატარდება.

ვერსიანიუსი

ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გარდაბნის გამშვები პუნქტის მებაჟე ოფიცერი შოთა ბიწაძე დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შოთა ბიწაძემ, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, სამეწარმეო სუბიექტის წარმომადგენელს მოქალაქე მ.მ-ს კომერციული ინფორმაციის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოპოვებისა და გადაცემის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 10 000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ქართულ ციხეებში ვაჰაბიზმი ჰყავავის!

რამდენს უხდიან და როგორ ხდებიან ქრისტიანი პატიმრები „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები

პატიმარი №0578

ციხიდან რამდენიმე კვირის წინ გათავისუფლებული ქუთაისელი გაგა ც-ს მონაყოლი, ერთი შეხედვით, სახალისოა, მაგრამ ისეთ რამესაც ამბობს, რასაც ხელისუფლებამ ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოს. საუბარი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს რიგებში მებრძოლ პანკისელ ბიჭებზეა, ბიჭებზე, რომლებიც თურქეთში თითქოს სამუშაოდ მიდიან, შემდეგ კი, „რაღაცნაირად“ სირიაში ხვდებიან და იბრძვიან. სამწუხაროდ, ათზე მეტი პანკისელი უკვე დაიღუპა, უფრო ცუდი კი ისაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ კიდევ არაერთი პანკისელი ქისტი იბრძვის და სიცოცხლეს სასწორზე დებს.

„განგაშს რომ ატეხენ ხოლმე, ესა თუ ის ბიჭი საბრძოლველად წავიდაო, იმას რატომ არავინ აქცევს ყურადღებას, რომ ციხეები ვაჰაბიტებით გაივსო?! თავმოხოტრილი და წვერმოშვებული ტიპები არამარტო პროპაგანდას ეწევიან, არამედ ქადაგებენ და თავი მუსულმანური სამყაროს გადამრჩენელად მიაჩნიათ. თავიდან ბევრი უსაქმურობის გამო უსმენს, მერე და მერე კი, ზოგიერთი მუღამზე მოდის და მართლმადიდებლებსაც ითრევენ“, — ყვება გაგა.

„მართლმადიდებლებს როგორღა ითრევენ?!“

„მარტივად. ცხოვრება ჭირს, ძმაო. ციხეებში მაღაზიებია და პატიმრები, რასაც უნდათ, იმას შეჭამენო, რომ ამბობენ, ასე არ არის. იმ მაღაზიაში ბანკის ბარათით მიდიხარ, ბარათზე კი ვინმემ რამე უნდა დაგირიცხოს. ფული კიდევ გარეთ როგორი საშოვნელია, კი იცი ჩემზე უკეთ. ჰოდა, იწყებენ ეს ვაჰაბიტები იმის მოყოლას, რომ ისლამური სახელმწიფოს სასარგებლოდ ბრძოლა არამარტო ალაჰისთვისაა კარგი, არამედ პირადი კეთილდღეობისთვისაც და, მინიმუმ, ორიათასდოლარიან ხელფასს ყველას ჰპირდებიან. უფრო მეტიც, თუ შეატყვეს, რომ კონკრეტული ტიპი მზად არის ომში წასასვლელად, იქიდანვე უგვარებენ ყველაფერს, რეკავენ, საჭირო ხალხთან აკავშირებენ...“

„ადმინისტრაცია ხომ აკონტროლებს ამ სატელეფონო ზარებს?!“

„ზარებს აკონტროლებს, მაგრამ რა უნდა ქნას, მოდი, შენ მითხარი. ტიპი ვიღაცას ურეკავს თურქეთში, ეუბნება, ესა და ეს კაცი ჩამოვა და დახვდიო. გადის კრიმინალი ციხიდან, სამი დღის მერე, თურქეთში მიდის. ხელისუფლებას უხარია, ერთი კრიმინალით ნაკლები ჰყავს, ოჯახი ბედნიერია, რადგან ციხიდან გასული უმტკიცებს, ზონაზე კაცი გავიცანი, თურქეთში მუშაობას დამპირდაო. მიდის თურქეთში და ერთ კვირაში უკვე სირიაში ავტომატი უჭირავს...“

„და იმათ კრიმინალები თუ ყოფილი კრიმინალები მებრძოლებად რატომ აწყობთ?!“

„ჯერ ერთი, პატიმარს ფსიქოლოგიური მომზადება არ სჭირდება, ყველაფერი ნანახი აქვს — სიკვდილიც, წამებაც... თავის გადარჩენაც სხვებზე უკეთ ეხერხება და ეს არის მთავარი. ამიტომ ფასობენ პატიმარი მებრძოლები და ეს სახელმწიფოსაც აწყობს. ხომ იცი აქაური მიდგომა? — თუ რომელიმე ავტორიტეტი გათავისუფლდა, სამ დღეს აძლევს ხელისუფლება ქვეყნის დასატოვებლად. ჰოდა, გადის კაცი ციხიდან, იცის, რომ სახელმწიფოს არ სჭირდება, მობეზრებული აქვს მოპარვა, ყაჩაღობა და მიდის ომში, სხვის ომში... თან ფიქრობს, რომ გული მაინც არ დასწყდება, მტერს თუ მოკლავს, მისი ომი მაინც არ არის, სამაგიეროდ, ფულს უხდიან...“

„შენ რატომ არ წახვედი, თუ ასე მარტივადაა ყველაფერი?!“

„მამაჩემს ერთი საჯიშე ბიჭი ვყავარ და კი ვარ დაბალი და ულამაზო, მაგრამ გვარი მაქვს კარგი და ხომ მინდა გვარის გამგრძელებელი? თან, ვერ ვიტან წვერს. ახლა წვერი მოვუშვა, ავტომატი ვაკაკანო, მერე შემთხვევით, დამიჭირონ და სახალხოდ თავი მომაჭრან ან დამხვრიტონ, არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო. უფრო სწორედ, ყველაფერ ამაში ორ ათასი ძალიან ცოტაა. ამას მე ვფიქრობ, თორემ ხალხია, სულ არ უნდა ფული, აჭამე და სიამოვნებისთვის იბრძოლებს, კი იცი შენ...“

„მეორედ მეუბნები, კი იცი შენო და რა ვიცი ასეთი, გამაგებინე?“

„რა იცი და.. ჯერ ერთი, ციხე შენც გამოვლილი გაქვს და თან ნაცების რეჟიმი. მერე ის, რომ გამწარებული და გაბოროტებული პატიმარი, ყველაფერზეა წამსვლელი და პატიმარზე უკეთესი მებრძოლი ნებისმიერმა ინატროს; მერე მესამე, შენ რომ ვაჰაბიტი გყავდა გვერდითა კამერაში და ერთმანეთის დასაკლავად გაიწიეთ, ეგეც მახსოვს, მაგრამ ისტორია არ მახსოვს ზუსტად...“

„მოგიყვები მაგას, როცა იქნება, მანამდე ის მითხარი, დაახლოებით, რამდენი ვაჰაბიტია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?!“

„შენ მე დეპარტამენტის შეფი ხომ არ გგონივარ? რა ვიცი მე, რამდენია? ჩემს ზონაზე ხუთი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხუთი ცოტაა. დიდი წვერის და მოხოტრილი თავის გამო გამორჩეულები არიან ყველასგან და თან მკაცრი წესებით ცხოვრობენ — ლოცვა, ვარჯიში, დიეტა...“

„რა დიეტა, ბიჭო, ნუ გადამრიე?!“

„დამავიწყდა... მარხვა, მარხვა... მკაცრად იცავენ, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე არ უნდა ვჭამოთო და რა ვიცი, რა, მაგათი წესები. სხვები უყურებენ, აინტერესებთ, მოსწონთ... და ასე, ნელ-ნელა იწყება. პრწკენა-პრწკენით პატარძალი დაორსულდაო, ხომ გაგიგია, ასეა ზუსტად. ჯერ რაღაცას ჰკითხავ, მერე კიდევ რაღაცას და ომის ამბების მოყოლას იწყებენ. ჰო, იცი, რა არის ყველაზე საინტერესო?! — ომის ამბებს რომ ჰყვებიან, აუცილებლად აყოლებენ, რომ წარმატებული მებრძოლები მეფეებივით ცხოვრობენ, მერე ორი ათასს კი არა, ხუთ და მეტს იღებენ. ხუთი ათასი თვეში უკვე თემაა, პატიმარს ხომ ყველაზე მაგარი ჰგონია თავი და უკვე იქ არის, ავტომატი უჭირავს და ხოცავს სირიელებს თუ არასირიელებს, ხელფასი რომ მოუმატონ... შენს დროსაც არ იყო ნაკლები, მაგრამ მართლა პატარა საგიჟეთია ზონა, რა...“

„ადმინისტრაციამ იზოლირება რომ გაუკეთოს ამ ვაჰაბიტებს, არ შეიძლება?!“

„შენც კაი შტერი ხარ. შენსავით იფიქრეს სწორედ იქაც, გაუკეთეს იზოლირება და კი მიიღეს ეს შედეგი. ერთ კამერაში ჰყავთ შეყრილი ვაჰაბიტები და იმათაც ისე აქვთ იქაურობა მორთულ-მოკაზმული, შეიხის საცხოვრებელი გეგონება. ხალიჩები და მთელი ამბები, რა. ეგეც ინტერესია, ეგეც იმათ წისქვილზე ასხამს წყალს. ერთად კი არ უნდა შეყარო, უნდა დაშალო და ასე ძლიერები აღარ იქნებიან. მაგრამ მაგას ჭკუა უნდა და მოფიქრება...“

„აქედან რომ გადის პატიმარი, მერე მიდის თურქეთში... რომ დაუტყდეს იმ ხალხს და მართლა თურქეთში დარჩეს და იმუშაოს, არა?!“

„აუფ, ბიჭო, რა არის ეს დახურული სისტემა, იქ რა ჭკვიანი ჩანდი და გარეთ რა შტერი ხარ?! რა დაუტყდეს, გადაირიე? ჯერ ერთი, საზღვარზე ხვდება ის ხალხი და მეორეც, იმათთვის ან დამატებითი ავტომატი ხარ, ან გვამი. ისე გამოგჭრიან ყელს, როგორც საახალწლო ღორს და დაგაგდებენ სადმე. მთავარი ის არის, წასვლაზე თანხმობა არ თქვა, თორემ იქამდე თუ ჩაგიყვანეს, მერე დამთავრებული თემაა ანუ შენ გგონია, რომ ჩახვედი, იბრძოლე, ორი-სამი თვე დარჩი, ფული გააკეთე, წამოხვედი, იყიდე „ოპელ ვექტრა“ და იქ ნაშოვნი ფულით ტაქსაობა დაიწყე? არა, ძმაო, არა... იქ იბრძვი და იბრძვი ბოლომდე. ბოლო კიდევ, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ცინკის კუბო და საქართველოში გადმოსვენებაა, შენი ღეში აქ რომ ჩაფლან, თორემ ისე წაგაყრიან სირიის მტვერს მაგ გასიებულ თავზე, აზრზეც ვერ მოხვალ...“

„ენად რომ გაიკრიფე, ჩემზე ნაკლებ გასიებული თავი არც შენ გაქვს და სირიის მტვერსაც წაგაყრიან და საფიჩხიის შავ მიწასაც, თუ კარგია. ის მითხარი ახლა, შენ რას აპირებ, რჩები საქართველოში თუ მიდიხარ?“

„პირობითი გამომაყოლეს. კი მითხრეს, წადიო და ვუთხარი, ეს პირობითი მომიხსენით და აქ გამჩერებლის-თქო, მაგრამ არ მიხსნიან. ვიქნები აქ, ეგებ, ცოლიც მოვიყვანო, მაგრამ ეჭვით ვუყურებ გოგოებს, ნაზასავები არ უნდა იყოს და მასეთი გოგოს პოვნა მიჭირს...“

„მაშინ დაელოდე ერთსქესიანთა ქორწინებას და ბიჭი რომ არ იქნება ნაზასავები, ის მოიყვანე შე უბედურო...“

„არა, მართლა წასულხარ ხელიდან. რას მეუბნები ახლა, ვიღაცის ნაპროშნი გოგო დავიწვინო გვერდზე?!“

„გვერდზე არა, ზემოდან... გაგიჭირდება, ძამია, აქ შენ, გაგიჭირდება...“

„ჰო, ვიცი... მივხვდი მაგას, მაგრამ... საერთოდ არ მოვიყვან მაშინ ცოლს და ეგ იქნება...“

ვერსიანიუსი

შსს: „ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები უკანონოდ იქნა აღმართული!“

მიმდინარე წლის 10 ივლისს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები უკანონოდ იქნა აღმართული.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტერიტორიის სიახლოვეს ბაქო-სუფსის მილსადენის გარკვეული სეგმენტები მდებარეობს და განხორციელებული უკანონო ქმედებით სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული პროვოკაციული ქმედების გამო, რომელიც მიმართულია სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ და საფრთხეს უქმნის ადგილზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

„ვერსიანიუსი“

დააკავეს ნარკორეალიზატორი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ხაგან ა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე, ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს ჰეროინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

სამართალდამცავებმა უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს ხიდისთავის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო თევზჭერის ბრალდებით სამი პირი: 1982 წელს დაბადებული ვალერიან მ, 1950 წელს დაბადებული გიორგი ნ. და 1974 წელს დაბადებული ბესიკ მ. გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას უკანონოდ დაჭერილი 15 კილოგრამი თევზი, ბადეზე მიმაგრებული ელექტროშოკის აპარატი და აკუმულატორი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა აღნიშნული თევზი კასპის რაიონში, სოფელ გომის მიმდებარედ, მდინარე მტკვარში უკანონოდ დაიჭირეს. სამივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება აკრძალულ ადგილას ელექტროშოკის აპარატით თევზის მასობრივი განადგურების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 300-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

1. ტყე - რობინ ჰუ-დის სამ-ფლობელო
2. სხვა ადამიანის გაგების უნარი
3. ცარიელი სივრცე, სიცარიელე
4. ინდოეთის დედაქალაქი
5. ისრების სასროლი იარაღი
6. დიდი რუსი მომ-ღერალი, ბანი
7. სისხლის აღრევა
8. ქალაქის ტიპის დასახლება
9. (ძვ.) თვალი პატიოსანი
10. ქვეყანა აღმოსავ-ლეთ ევროპაში
11. ატმოს-ფეროს ზედა ნაწილი
12. მილ-იონერზე მდიდარი
13. არასამკ-ურნალო თვისებების მქონე ნივთიერება, რომ. მედი-კამენტად გამოიყენება
14. ზანქოს ძველებური თამაში
15. ფინი-კიელთა მთავარი ქალღმერთი
16. ძველებური საწერი მასალა
17. შუა-აზიელთა ქეჩის კარავი
18. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
19. რაიმე ამბის კომიკურად გადმოცემა
20. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
21. მექსიკის უმაღლესი მწვერვალი
22. ამერიკელი მწერალი
23. ჯადოს-ნური თვალი ქართულ მითოლოგ.
24. მქუხარე აპლოდის-მენტები
25. ამერიკული სამეჯლისო ცეკვა
26. ესპან. პოეტი ფედერიკო გარსია ...
27. დონ კიხოტის მხლებელი ... პანსა
28. პურის მცხობელი
29. ისრაელის სახელმ-წიფო ენა
30. სასრო-ლეთი
31. მხარე ავსტრიაში
32. ტაივანის პოეტური სახელწოდება
33. ქართული ლიტერა-ტურული პრემია
34. პარკოსანი მცენარე
35. სისხ-ლძარღვი, რომლითაც სისხლი ორგა-ნოებიდან გულისკენ მიედინება
36. გეომე-ტრიული ფიგურა
37. რისამე მოქმედების არე
38. მონად. ფრინველთა ზოგადი სახელი
39. ყურით აღქმული ბგერა
40. წინსართი, აღნ. სოფ. მეურნეობას-თან კავშირს
41. ჩეხი ჩოგბურ-თელი ... ლენდლი
42. წყლის ტრან-სპორტი
43. ევ-ფრატსა და ტიგროსს შორის მდებარე ქვეყანა
44. აშშ-ის შტატი ...-აილენდი
45. ინის „მეწყვილე“ ჩინურ ფი-ლოსოფიაში
46. სინათლე ბავშვის ენაზე
47. იაპონიაში: ქალი, რომ-ლის მოვა-ლეობაა სტუმრების გართობა
48. თმის მცენა-რეული საღებავი
49. ძვირფასი სარეწაო თევზი
50. ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა ქოხი
51. იალქნის მისამაგრე-ბელი ძელი გემზე
52. კომ-პოზიტორი ... გაბუნია
53. იგივეა, რაც სასულე
54. ამერიკელი მწერალი
55. ჰოლან-დიური გვარების წინსართი
56. მზის ძველეგ-ვიპტური ღმერთი
57. წმინდანად შერაცხული ქართველი აზნაური, რომელიც ყველისციხის დაცვას ხელმძღვანელობდა
58. ლომის, ვეფხვის და მისთანათა ოჯახი
59. უეფას შტაბბინის ქალაქი
60. უეცარი შიში



მარტივი პრინტერი პროდუქტისთვის

თანამედროვე სამგანზომილებიანი პრინტერები, რომლებიც დიდი მოცულობის კომპოზიციებს ქმნიან პროდუქტისგან, ძალიან რთულია გამოსაყენებლად. გერმანულმა კომპანიამ Bocusini გამოასწორა ეს უსამართლობა და შეიმუშავა მოწყობილობა, რომელსაც ბავშვიც კი გაუმკლავდება. ამ ფირმის 3D-პრინტერი მხოლოდ ელექტროქსელში უნდა ჩართო, კარტრიჯი შეავსო და სქემა ამოირჩიო — რამდენიმე წუთის შემდეგ კი შედეგით ისიამოვნო. Bocusini-მ კარტრიჯების 30 სახეობა შეიმუშავა სხვადასხვა პროდუქტით — შოკოლადით, ჟელეთი, ცომით, მარციპანით, ყველით, კარტოფილისა, ბოსტნეულის პიურეთი, ხორცის ფარშით და სხვა. გარდა ყვავილებისა და სხვადასხვა ფიგურისა, პრინტერს შეუძლია მომხმარებლის ესკიზის მიხედვით წარწერები და სახეები დაბეჭდოს. პრონტერის საწყისი ღირებულება 850 დოლარია. ასეთი მოწყობილობის წარმოებისთვის საჭირო 30 ათასი ევრო ძალიან მალე შეგროვდა ინტერნეტით და უკვე წლეულს დაიწყება საჭმლისთვის განკუთვნილი მარტივი პრინტერის წარმოება.

ნამზეურს კვრით მიიღებთ

სოლარიუმი, ტონალური საშუალებები, კრემი ნამზეურის ეფექტით — რა აღარ მოიფიქრა ადამიანმა, კანს რომ ლამაზი და თანაბრად გარუჯული ფერი მიეცეს. ზომიერი და მკაცრი კლიმატის ქვეყნების მაცხოვრებლებს არ სურთ, ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ამას მშობლიური ბუნება „კარნახობს“. ბევრმა უკვე გამოსცადა კანის „გამუქების“ ახალი პროცედურა — მელანოთანის ნემსი. ეს ახალი ნივთიერებაა, რომელიც პანაცეად ექცა მანდილოსნებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც ძალიან თეთრი კანი აქვს. მელანოთანი, რომლის ფორმულაც ავსტრალიელმა მეცნიერებმა შექმნეს, სინთეტური ანალოგია განსაკუთრებული ჰომონისა, რომელიც კანის უჯრედებში პიგმენტ მელანინის სინთეზს უზრუნველყოფს. პრეპარატის პოპულარობა იმან განსაზღვრა, რომ ის პიგმენტაციას ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების გარეშე იწვევს. მელანოთანი განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპული ქვეყნების მცხოვრებთ მოეწონათ. „შიდა“ ნამზეურის მისაღებად ჯერჯერობით, ძირითადად, ინტერნეტსაიტების დახმარებით სარგებლობენ. თუმცა, ზოგიერთი სილამაზის სალონი და ფიტნესკლუბიც სთავაზობს კლიენტებს ახალი მეთოდით მომსასხურებას. პიგმენტაცია ნემსის გაკეთებიდან ერთი კვირის შემდეგ მიიღწევა. საჭირო შეფერილობის მისაღებად კვირაში ერთხელ მაინცაა საჭირო ინექციის გაკეთება. ნამზეურის მიღების საშუალო კურსი, რომელიც ორ თვეს გრძელდება, 45 დოლარი ღირს. ამ მეთოდით გარუჯვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ კანის სიმსივნის განვითარება შეუძლებელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მელანოთანი, როგორც ყველა ახალი პრეპარატი, ბოლომდე არ არის შესწავლილი და არ ვიცით, მისი აქტიური მოხმარება რა ზიანს მიაყენებს ჯანმრთელობას.

სუდოკუ მანია

ადვილი

	1					8		
4		9			8		7	
2		7	1					4
					7		5	9
				3				
7	6		9					
6					4	2		1
	5		6			4		7
		1					6	

სტანდარტი

				4			8	
					1			4
9			7	6	5			
6	2		4				9	
8		9				7		2
	7				2		3	6
			5	3	7			8
2			9					
	6			2				

რთული

				2	7	6		5
				4	1	8		
3					5		7	
5						7		
4	8			5			1	9
		6						8
	2		4					6
		4	5	7				
1		3	6	9				

ექსპერტი

9				6		4		1
			4				7	
	5		8				3	
5	4				8	7		
		6	2				9	3
	9				7		5	
	8				3			
1		3		4				9



გამელოტებისგან ახრა გვიხსნის

ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ როგორც იქნა, გამელოტების წინააღმდეგ ახალი საშუალება გამოიგონეს და მას ხუთი წლის შემდეგ წარადგენენ. საინტერესო ისაა, რომ ეს არ იქნება ქირურგიული მეთოდი. რამდენიმე ექსპერიმენტის შემდეგ, იელის უნივერსიტეტის სწავლულები დარწმუნდნენ, რომ მუცლიდან აღებული ცხიმოვანი უჯრედების გამოყენებით შეძლებენ ისეთი ვაქცინის მიღებას, რომელიც მამაკაცებს საერთოდ დაავიწყებს, რა არის თმის ცვენა. ხანგრძლივი ცდების შემდეგ მკვლევარებმა ნამდვილი აღმოჩენა გააკეთეს — ცხიმოვან უჯრედებს შეუძლია თავის კანზე თმის ზრდის სტიმულირება, რადგან ქიმიურ სიგნალს აძლევს ფოლეკულებს და „აღვიძებს“ მათ. ამჟამად სპეციალისტები იმაზე მუშაობენ, ვაქცინას ხანგრძლივი ეფექტი ჰქონდეს და არ აღენიშნებოდეს გვერდითი მოვლენები, შესაბამისად, უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ჯანმრთელობაზე.

დონორები დიდხანს ცოცხლობენ

როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცხოვრობენ. სისხლის ჩაბარების შემდეგ მათ ინფარქტის, ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ, ეს კი იმის გამო ხდება, რომ მავნე ნივთიერებები, რამაც შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ახერხებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმს გაცილებით სწრაფი რეგენერაციის უნარი გააჩნია. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს ყოველი სისხლის ჩაბარებისას გამოიკვლევენ ხოლმე, რაც საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ და უმკურნალონ. სისხლის ჩაბარებისას კი დაინფიცირების შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან დღესდღეობით ყველა ნორმალურ კლინიკაში ერჯერად, სტერილურ საშუალებებს იყენებენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	7	1	9	6	4	3	5	2
3	6	9	5	2	8	4	1	7
5	2	4	3	1	7	9	8	6
2	4	3	1	9	6	8	7	5
6	1	8	7	5	3	2	4	9
9	5	7	4	8	2	6	3	1
7	3	6	2	4	1	5	9	8
4	9	2	8	7	5	1	6	3
1	8	5	6	3	9	7	2	4

სტანდარტი

6	7	5	3	8	2	4	1	9
4	3	2	1	9	7	6	8	5
1	9	8	6	5	4	3	2	7
9	8	1	7	6	3	5	4	2
3	2	7	5	4	9	1	6	8
5	6	4	2	1	8	7	9	3
8	5	9	4	3	1	2	7	6
2	4	3	9	7	6	8	5	1
7	1	6	8	2	5	9	3	4

რთული

3	7	1	6	2	9	5	8	4
9	2	8	7	5	4	6	1	3
6	5	4	3	1	8	2	9	7
2	4	3	5	9	1	8	7	6
5	9	7	8	6	2	4	3	1
1	8	6	4	7	3	9	5	2
8	3	2	9	4	7	1	6	5
4	6	9	1	3	5	7	2	8
7	1	5	2	8	6	3	4	9

ექსპერტი

3	2	1	9	4	8	7	6	5
7	5	9	6	2	3	8	1	4
8	6	4	7	5	1	3	2	9
6	7	8	1	3	5	4	9	2
4	1	2	8	9	7	6	5	3
9	3	5	4	6	2	1	8	7
5	9	7	3	1	6	2	4	8
2	8	6	5	7	4	9	3	1
1	4	3	2	8	9	5	7	6

მე-10 გვერდი: 1. სტამბოლი; 2. ტეკილა; 3. მირაჟი; 4. ოკეი; 5. ალეგორია; 6. ლულა; 7. გავროში; 8. რეიგანი; 9. სკორსეზე; 10. ანალიზი; 11. იდა; 12. იუანი; 13. პლევრიტი; 14. ტევტონები; 15. მალკოვიჩი; 16. რისკი; 17. რიალი; 18. გედი; 19. კოლიტი; 20. ტომარა; 21. პლაჟი; 22. არისა; 23. კვახი; 24. ათერომა; 25. სურდინა; 26. მარგო; 27. კაეშანი; 28. აია; 29. ანანკე; 30. მედალი; 31. რიქსდაგი; 32. ვილისი; 33. ლიმანი; 34. ლისი; 35. არმადა; 36. ვილა; 37. ილეთი; 38. იოგა; 39. ფრი; 40. ლეია; 41. ლიანა; 42. დაქტილოლოგია; 43. ნორა; 44. ნივა; 45. „გარაჟი“; 46. ხოზე; 47. აბი; 48. ინდოლოგია; 49. გრიმო; 50. ერი; 51. ყბა; 52. გეენა; 53. გირაო; 54. ყბაჩა; 55. მერიმე; 56. ნო; 57. სორო; 58. არგო; 59. იოანე; 60. ინგა; 61. ისიანი; 62. ჟინი; 63. დუჟინი.

მე-12 გვერდი: 1. არხარი; 2. რაფსოდი; 3. აზნაური; 4. ტერცია; 5. ეთნოგენეზი; 6. ცენტნერი; 7. ეფენდი; 8. რანდევუ; 9. ოფურო; 10. ანონსი; 11. გენია; 12. ალისა; 13. ანფასი; 14. იქედნე; 15. რადა; 16. ონონი; 17. მირონი; 18. მიდია; 19. ნინიძე; 20. ძმარი; 21. ებონიტი; 22. ვარსქენი; 23. დო; 24. უფა; 25. ვუპი გოლდბერგი; 26. რობაი; 27. ეზო; 28. ეტრუსკები; 29. ათენა; 30. რეა; 31. ფაუ; 32. ბედინერი; 33. დონ; 34. ამია; 35. ასენიზაცია; 36. ილუზია; 37. ლაიკა; 38. ზოოლოგია; 39. იდეა; 40. ევა; 41. ურო; 42. აუტი; 43. აგორაფობია; 44. დღე; 45. კლარნეტი; 46. ნისტაგმი; 47. დამოკლე; 48. სეული; 49. სვე; 50. „დანაე“; 51. მოდა; 52. ლოუ; 53. ლუმბაგო; 54. კანოე; 55. ოკა; 56. ანანდი; 57. ონკანი; 58. ნისია; 59. დიალოგი; 60. მული; 61. რაგბი; 62. ტაიგა; 63. ბობ; 64. არლანი; 65. ხაბაზი; 66. გენა; 67. კურაგა; 68. ღილი; 69. აია; 70. მეანი; 71. ნოა; 72. კანავარო; 73. გონგი; 74. ანტინოე; 75. იონა; 76. ადის; 77. მსახიობი; 78. ტემზა; 79. ბზე; 80. ტრიო; 81. დრიუ; 82. კირი; 83. ესე.

კოცნა დაავადებებისგან გვიცავს

ვნებიანი ამბორი დაავადებებისგან გვიცავს, — აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები, რომელთაც ამ მხრივ შესაბამისი კვლევა ჩაატარეს. ადამიანის იმუნურმა სისტემამ დიდი ხანია ისწავლა ციტომეგალოვირუსთან გამკლავება, რომელიც ნერწყვში ხვდება. როგორც წესი, ის არავითარ პრობლემას არ იწვევს. თუმცა, ვირუსი შესაძლოა, ძალიან საშიში იყოს ქალებისთვის ფეხმძიმობის პერიოდში, რადგან შეუძლია ნაყოფის სიკვდილი გამოიწვიოს ან თანდაყოლილი დეფექტების — სიყრუიდან ცერებრალურ დამბლამდე — პროვოცირება მოახდინოს. გამუდმებული კოცნა, რასაც მამაკაცი ერთსა და იმავე ქალს ჩუქნის, ეფექტური აცრაა, ნერწყვის გაცვლის მეშვეობით, ციტომეგალოვირუსის წინააღმდეგ, — ამტკიცებენ ლიდსის უნივერისტეტის სპეციალისტები. მათი თქმით, ლაპარაკია ვირუსის სპეციფიკურ „მამაკაცურ“ ვარიანტზე. ადრეული გამოკვლევებით კი, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ კოცნის რიტუალი ადამიანს განუვითარდა, როგორც ევოლუციური „ხარისხის კონტროლის“ ერთ-ერთი ფორმა, როცა ნერწყვის მეშვეობით გადაეცემა „ინფორმაცია“ მემკვიდრეობითობის, ჯანმრთელობისა და გენების შესახებ.



1. თავის ტვინის ანთება
2. კოლუმბიის დედაქალაქი
3.წარწერა საფლავის ქვაზე
4. ხის საპობი იარაღი
5. კალათბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია
6. მაიმუნის ჯიში
7.ფრანგული თოჯინების თეატრის მთავარი პერსონაჟი
8. დასარტყმელი საკრავი
9.ბუსუსები ქსოვილის კარგ პირზე
10.გახურებული საგნიდან ანადენი ორთქლი
11. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
12. მათემატიკური ორწევრი
13. განსაკუთრებით გემრიელი საჭმელი
14. მგალობელი ფრინველი
15. ერთეულოვანი ვექტორი
16.მეოთხე მუსიკალური ინტერვალი
17. ფშავ-ხევსურეთის ისტორიული სახელწოდება
18. დამხმარე თეორემა მათემატიკაში
19. განსხვავებული ფერის ზოლი ქსოვილზე
20. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
21. ძვ. სამეფო აზიაში
22.კლავიშებიანი საკრავი
23. სპარსი პოეტი ... ხაიამი
24. სამშენებლო მასალა
25. საცალფეხო გზა
26. მაღაზიის ფანჯარა
27. ცნობილი ლატვიელი კომპოზიტორი
28. ანტიკური ქალაქი ძვ. ეგვიპტეში
29. მოლეკულის შემადგენელი ნაწილი
30.ბედუინთა მოსასხამი
31. დროშის აღსამართავი ლატანი
32. მამა-შვილი ბაღაშვილების მუსიკალური პროექტი
33. სენეგალის დედაქალაქი
34.არაბთა საამიროების უდიდესი ქალაქი
35.მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
36. ჰავიბეკოვის ცნობილი ოპერეტა „... მალ ალან“
37. ტიბეტური ხარი
38. აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი
39. იგივეა, რაც ფირნიში
40. უუფლებო ადამიანი
41.ცენარეული საღებავი
42.ფარული დაცინვა
43. თოვლის კაცი
44. მდ. ვოლგის სახელი შუა საუკუნეებში
45. კაზაკთა ჯარის უფროსი
46. მდინარე მოსკოვის შენაკადი
47. ტანზე შემოჭერილი სპორტული სამოსი
48. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
49. ტროპიკული ხილი
50. საზღვაო თევზსაჭერი გემი
51. ცხენირემი
52.ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
53. ლითონის მრგვალი ჭურჭელი
54. ხოხბის ბარტყი
55. მიწაში ამოთხრილი ადგილი
56. ცხვრების ჯოგი
57. „12 სკამის“ ერთერთი ავტორი
58. ერთუჯრედიანი უმარტივესი ცხოველი
59. კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი
60. იგივეა, რაც ბამბუკის დათვი
61. ყველაზე დიდი ანტილოპა
62. ბულგარეთის დედაქალაქი
63. აღმოსავლური ხემიანი საკრავი
64. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
65. დაბალზამებული გვამი
66.„მორცხვი“ ყვავილი
67.პაატა ბურჭულაძის ხმა
68. ფრანგული ყველის სახეობა
69. ჰოლივუდის მსახიობი ... სმიტი
70. მწერალი ... მორჩილაძე
71. ვაჟა-ფშაველას პოემა „... ქეთელაური“
72. ზრდადა-უმ-თავრებული ქათამი
73. საწარმოო დანადგარი
74.ყოფილი კუნძული მდინარე მტკვარზე
75. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
76. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
77. ძალიან ბრაზიანი, აწბსლი
78. ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა
79. ბამბის რბილი ბუსუსებიანი ქსოვილი
80.ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვის შემდეგ
81.ავადმყოფის მდგომარ., რომელიც სიბრალ. იწვევს
82. ინგლისური ტრადიციული ლუდი
83. იგივეა, რაც ნაცია
84. სასტუმროს მსახური ბიჭი
85. სოფელი ზუგდიდის რაიონში
86. სოსო ჯაჭვლიანის კინოგმირი „ნატვრის ხეში“
87. პატარა საწნახელი

ქალებისთვის ჭორაობა სასარგებლოა

ამერიკელმა მეცნიერებმა მიჩიგანის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ დაქალებთან რეგულარული ურთიერთობა, საუბარი სუსტი სქესის წარმომადგენელს უფრო ჯანმრთელსა და ბედნიერს ხდის. ამის მიზეზი პროგესტერონის დონეა, რომელიც იმ დროს გამოიყოფა, როცა ქალი ჭორაობს. პროგესტერონი ჰორმონია, რომელსაც საკვერცხეები გამოიმუშავებს. სწავლულების თქმით, პროგესტერონის დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ ურთიერთობებში. კერძოდ, რაც მაღალია მისი დონე, მით მეტია სხვისი დახმარების სურვილი, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლით გარისკვას უკავშირდებოდეს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.